ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


გვ.5

## ყალბი დიპლომი, სერტიფიკატები, უცხო ქვეყნის მართვის ყალბი მოწმობები და პარკირების საშვები — ვინ დააკავა საგამოძიებო სამსახურმა

## შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილი საწოლიდან ველარ დგება, მწოლიარე მდგომარეობაშია, ძალიან ცუდადაა“


გვ.5

ხუთშაბათი, 16 თებერვალი, 2023

№33 (9069)

ფასი: 80 თეთრი

# „ივანიშვილი ძალაუფლებისთვის ყველაფერზეა წამსვლელი“


გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „ოპოზიციას ტყუილად ჰგონია, რომ ბიძინა ხელს ჩაიქნევს, მოსკოვში წავა და ხელისუფლებას ამათ დაუტოვებს“




გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „მომავალი წელი საარჩევნო წელია. „ქართულ ოცნებას“ ბეწვის ხიდზე გავლა მოუწევს“

## „რუსეთი გუბერნიად ყოფნასა და საბჭოთა კავშირის აღდგენას გვთავაზობს“


გვ.3

მამუკა ტუსკაძე: „ხელისუფლებას ოპოზიცია და ხალხი უნდა აკონტროლებდეს“

## „ჩვენს ქვეყანას არც რუსეთისა და არც ამერიკის ვასალობა არ აწყობს“



## კახა კალაძე: „რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს“


გვ.4


გვ.4

## „მთავარი ამოცანებია ყირიმში შესვლა და დონბასის გათავისუფლება“



გვ.5

## გურიაში იუსტიციის სახლი გაქურდეს



გვ.5

## ცოლიანმა მამაკაცმა კიდევ ორ ქალზე იქორწინა და თავი ციხეში ამოყო



## სუპერმარკეტში მომხმარებლებმა ბავშვის გატაცება

გვ.5 აღკვეთეს

1993230720223

4 „სტრატეგია აღმაშენებელი“: „ქართული ოცნება“ ისტორიულ შანსს გვაკარგვინებს“

3 საგარეჯოში ავარიით 3 ადამიანი დაიღუპა

6 ქორწილში ყველის გამო იჩხუბეს

6 რუსეთს ფართომასშტაბიანი შეტევისათვის ძალები არ ჰყოფნის

# „ივანიშვილი ძალაუფლებისთვის ყველაფერზეა წამსვლელი“

ნონა ცაბაძე

## დავით ზურაბიშვილი: „ოპოზიციას ტყუილად ჰგონია, რომ ბიძინა ხელს ჩაიქნევს, მოსკოვში წავა და ხელისუფლებას ამათ დაუტოვებს“

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.



***– ბატონო დავით, შევაფასოთ ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები როგორც საშინაო, ისე საგარეო კუთხით. რეზოლუციას რეზოლუციაზე გვიქვეყნებენ, მაგრამ „ქართული ოცნება“ აცხადებს, არავის შანტაჟისა და მუქარის არ გვეშინია და კუბილიუსისა და მისნაირების ჭკუაზეც არ გავივლითო. ამ სიტუაციაში რა შანსი აქვს ქვეყანას ევროინტეგრაციის კუთხით?***

– ქვეყანას ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით ძალიან დიდი შანსები აქვს, ოღონდ ეს ამ ხელისუფლების პირობებში არ მოხდება. ყოველ შემთხვევაში, 2024 წლამდე – ნამდვილად. მე სერიოზულად მეპარება ეჭვი, რომ კანდიდატის სტატუსი მივიღოთ თუნდაც წლის ბოლომდე. ისე ვითარდება პროცესები, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი მგონია.

***– რაშია გამოსავალი?***

– ამ შემთხვევაში, ოპოზიციას შეეძლო, ცოტა უფრო ჭკვიანურად ემოქმედა, მაგრამ, რას ვიზამთ, რაც გვყავს, ეს გვყავს, სხვა ვარიანტი არ არის.

***– ჭკვიანურ მოქმედებაში რას გულისხმობთ?***

– ცხადია, რაც უფრო მეტად იმუშავებს ოპოზიცია იმაზე, რომ დასავლეთიდან გაიზარდოს წნეხი ივანიშვილზე, მით უფრო ანტიდასავლური და პრორუსული გახდება ივანიშვილის ხელისუფლება. ეს არის პირდაპირპროპორციული ერთმანეთთან. ეს ძალიან შესამჩნევია, ჩემი აზრით. ჩვენ გვეშლება ერთი რაღაც, ოპოზიციაშიც და ჩვენ, მიმომხილველებს, რომ ერთ კაცთან გვაქვს საქმე და ასე არასდროს არ ყოფილა. პრაქტიკულად, დღეს საქართველოს ხელისუფლებაზე რომ ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ერთ ადამიანს, საკმაოდ შეზღუდული მსოფლმხედველობით. ამას ძალიან რბილად ვამბობ. მისი წარმოდგენები მსოფლიო პროცესებზე არის, როგორც თავის დროზე დათო უსუფაშვილმა თქვა – მესამეკლასელი ბავშვის დონეზე. აი, ასეთი წარმოდგენები აქვს, თუმცა ძალაუფლების შენარჩუნების ტექნოლოგიებში ძალიან კარგად ერკვევა და კარგად იცის, როგორ შეინარჩუნოს ძალაუფლება, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკის არაფერი არ გაეგება, სრულიად სერიოზულადაა გადავარდნილი რაღაც შეთქმულების თეორიაში.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– მას ეჩვენება რომ უბლოკავენ თანხას, რომ ის არ დადის ამერიკის ჭკუაზე, ვითომ ისევ მიშას მოყვანა უნდა ამერიკას და, მოკლედ, სიგიჟეშია გადავარდნილი. ამის დასტურია დღეს გამოქვეყნებული მისი ადვოკატების წერილი შვეიცარიის ბანკის დავასთან და იურიდიულ დეტალებთან დაკავშირებით. ყოველგვარი შელამაზების გარეშე გეტყვით, რომ სრული მარაზმია, რასაც ამ ადვოკატების კანტორა ლაპარაკობს. ფულის გამო ყველაფრის კადრება არ შეიძლება და ცოტა თავმოყვარეობაც უნდა გქონდეს ადამიანს, რომ ასეთ სიგიჟეებში არ გადავარდე. სრული სერიოზულობით ამტკიცებენ, რომ რამდენიმე ასეულგვერდიანი ბიძინა ივანიშვილის დავის იურიდიული დეტალები ბანკთან უნდა გამოაქვეყნოს „პრაიმეიშენ თაიმსმა“ და, რადგან არ გამოაქვეყნა, ე.ი. ამერიკა ებრძვის ბიძინას.

> „ოპოზიცია გამალებული მუშაობს, რომ დასავლეთმა რეზოლუციები აქვეყნოს. მე კი ვიტყვი, რომ არასწორად მუშაობენ... მათი მთავარი პრობლემა ინტელექტუალური სისუსტეა“

***– სულ შეთქმულების თეორიებში არიან?***

– დიახ, სწორედ ასეა. აბა, როდის აქეთ იყო, რომ რომელიმე გაზეთი აქვეყნებდა მრავალტომეული იურიდიული დავის აღწერას. ეს სიგიჟეა, ამას არავინ არ გააკეთებს.

***– „ქართული ოცნება“ ისე ხატავს, რომ მთელი დასავლეთი მათი მტერია.***

– ბიძინა ივანიშვილი რასაც ხატავს, სწორედ იმას იმეორებს „ქართული ოცნება“. ამათ ხომ არც პოლიტიკური თავმოყვარეობა არა აქვთ არც არანაირი პრინციპები ცხოვრებაში, რასაც ჩასძახებენ ქვევრივით, იმას ამოსძახებენ. ეგ არის მაგათი ფუნქცია.

***– ამ დროს სად არის და რას აკეთებს ოპოზიცია?***

– ხელისუფლება რაც გვყავს, ეს გასაგებია. ამ დროს ოპოზიციის ფუნქცია უნდა იყოს არა ის, რომ ბიძინა ივანიშვილს გაუძლიეროს შფოთვები. სულ ტყუილად ჰგონია ოპოზიციას, რომ რაც მეტად შეშფოთდება ბიძინა, ის ჩაიქნევს ხელს, წავა მოსკოვში და ამათ დაუტოვებს ხელისუფლებას. ეს არ მოხდება. ბიძინა ივანიშვილს შეუძლია რისკზე წასვლა და ასე იყო 2011 წელს, რაც მან გააკეთა, სერიოზულად გარისკა, არ მოერიდა ხელისუფლებასთან დაპირისპირებას, როდესაც ჩათვალა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უპირებდა მოტეხასა და გადაგდებას. დაუპირისპირდა სააკაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო უხიფათო. ამისთვის გამოიყენა აბსოლუტურად ყველაფერი. მაშინ სრულიად სხვა ტალღაზე იჯდა და ნახევრად ლეგენდარული პიროვნება იყო. დღეს სრულიად სხვა სიტუაციაა, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ის პუტინს კი არა, ეშმაკსაც კი შეეკვრება, ოღონდ საკუთარი ძალაუფლება გადაირჩინოს, თუკი ეს საფრთხე დაინახა.

***– ანუ ასე მარტივად არ წავა ხელისუფლებიდან?***

– რა თქმა უნდა, არ წავა. ბიძინა ივანიშვილზე ზემოქმედება იმ მეთოდებით, რა მეთოდებითაც ხდებოდა თუნდაც შევარდნაძეზე ან თუნდაც სააკაშვილზე, ჩემი აზრით, პრინციპულად გაუმართლებელია. ეს ოპოზიციის დიდ ნაწილს, უბრალოდ, არ ესმის. შევარდნაძეს ჰქონდა ზღვარი. მას სახელმწიფოებრიობის განცდა ჰქონდა, ის არ გადავიდოდა რაღაც ზღვარს. ვარდების რევოლუციის წინ იყო ეს ზღვარი, მაგრამ ის არ წავიდა სისხლისღვრასა და დაპირისპირებაზე.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ბიძინა ყველაფერზეა წამსვლელი?***

– რა თქმა უნდა! ყველაფერზეა წამსვლელი, თუ ჩათვალა, რომ ახრჩობენ. ბიძინას არა აქვს სახელმწიფოებრიობის განცდა, რომელიც ჰქონდათ შევარდნაძეს, სააკაშვილს. რაც შეეხება სააკაშვილს, ძალიან იყო დასავლეთსა და მის კეთილგანწყობაზე დამოკიდებული. 2012 წელს ძალიანაც არ უნდოდა წასვლა, სიამოვნებით გადაწერდა იმ არჩევნების შედეგებს ისე, როგორც 2008 წელს გადაწერა. იცოდა, რომ 2012-ში დასავლეთი ამას არ აპატიებდა და დასავლეთთან კონფრონტაცია მას არ შეეძლო. ბიძინა ივანიშვილი კი არ არის არც ერთი და არც მეორე! ის წამსვლელია ყველაფერზე! ამიტომ ასეთი ზეწოლა მასზე გამართლებული არ არის. მე, პირადად, უკვე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ევროპარლამენტარებს პირადულში აქვთ გადასული ამ ხელისუფლების მიმართ გაბრაზება, რადგან უკვე სამ დღეში ერთხელ იღებენ ხან ივანიშვილის სანქცირების გადაწყვეტილებას და ხან რაღაც რეზოლუციებს. არცერთ ქვეყანაზე არ იღებენ ასე სამ დღეში ერთხელ რეზოლუციებს. ჩვენი ოპოზიციაც სწორედ ამაზე მუშაობს გამალებული, რომ დასავლეთმა რეზოლუციები აქვეყნოს. მე კი ვიტყვი, რომ არასწორად მუშაობენ. ამ თემაზე დაველაპარაკე კიდეც რამდენიმეს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ვერაფერიც ვერ გავაგებინე.

> „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური თავმოყვარეობა არა აქვს, არც არანაირი პრინციპები ცხოვრებაში, რასაც ჩასძახებენ ქვევრივით, იმას ამოსძახებენ“

***– აი, გამოვიდა კალაძე და განაცხადა, თუ არ მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს, ნუ მოგვცემენ, თავისთვის დაიტოვონო.***

– ასე იტყვის, აბა, რას იტყვის, შევარდნაძესავით ან სააკაშვილივით კი არ შეწუხდებიან. არ მოგვცემთ და ნუ მოგვცემთ, აი, ვიქნებით ასე. სწორედ ამას ეტყვიან ევროკავშირს და იქნებიან, რაც მთავარია. რევოლუციური სცენარი და ხალხის აბუნტება ამ ეგიდით არ გამოვა.

***– რატომ, ოპოზიციაც სუსტი და წყალწაღებულია? არ არის უკეთესი არჩევანი?***

– ჩემი აზრით, ინტელექტუალური სისუსტეა ოპოზიციის მთავარი პრობლემა და არა ის, რომ ოპოზიციური განწყობები არ არის. ხალხში ძალიან დიდია ოპოზიციური განწყობები. მე ძალიან იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელსაც ეს ხელისუფლება მოსწონს. თუმცა, ოპოზიციამ რომ წარმოაჩინოს, თვითონ უკეთესი რით არის, ცოტა სხვანაირი ტაქტიკა სჭირდება. კი, ხელისუფლება ბევრჯერ წამოიკიდეს და ბევრი სიგიჟეც ჩაადენინეს, მაგრამ ამით ჩვენ რა? ქვეყანას რა? ამით ვერც ოპოზიცია ძლიერდება და, პირიქით, ქვეყანა მიდის უარესობისკენ.

***– არ უნდა ხალხს ხაბეიშვილი და ვანო მერაბიშვილი ხელისუფლებაში.***

– რა თქმა უნდა! რატომ უნდა უნდოდეს?! არც მე მინდა! წესით, არც არავის არ უნდა. ნიკა მელიას დროს შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო ეს პარტია, მაგრამ ასეთი ამომრჩეველი ჰყავთ და ჰეე. ხაბეიშვილი და მერაბიშვილი ურჩევნიათ მელიას ან თუნდაც დეკანოიძეს და ცოტა ნორმალურ ხალხს. ნაცმოძრაობის ამბავი უკვე გარკვეულია. მე დანარჩენებზე ვლაპარაკობ. ვერ იპოვეს თავიანთი ნიშა და ადგილი. რაღაც ალტერნატივას ვერ გვთავაზობს ვერავინ, რომელიც იქნებოდა დამაჯერებელი.

***– გამოსავალი რა არის ამ სიტუაციიდან?***

– უნდა დაირღვეს ეს მოცემულობა. თითქოს ყველა ხვდება, მაგრამ ნაბიჯის გადადგმას არ ჩქარობს არავინ. უნდა შეიქმნას სხვა ალტერნატივა. სხვანაირად ეს არ დამთავრდება არასდროს. ციდან ახალი არავინ ჩამოვარდება. არსებულმა პოლიტიკურმა სპექტრმა უნდა მოახერხოს რაღაცნაირად გადაჯგუფება, შექმნან თავიანთი დღის წესრიგი, ნაცმოძრაობისგან პრინციპულად და არსებითად განსხვავებული. ეს ერთი გზაა. მეორე გზა ის არის, რომ გვეყოლება „ოცნება“, სანამ თაობების ცვლა არ მოხდება და ახალი პოლიტიკოსები არ მოვლენ. აგერ იაპონიაში ერთი პარტია ლამის 50 წელი იყო და მექსიკაშიც.

***– თუ ოპოზიციამ არ გაიღვიძა, ეს პერსპექტივა გვაქვს?***

– ოპოზიციას რომ ჰკითხოთ, გაღვიძებულიც არიან და მეტიც, მაგრამ პრინციპულად არასწორად უდგებიან ხელისუფლებასთან დაპირისპირებას. მოდით, ხატოვნად ვიტყვი, ჩემი გაგებით, ეს ხელისუფლება კი არ უნდა გადააგდო, არამედ უნდა დააცურო, ანუ ნაწილ-ნაწილ უნდა წაართვა ბერკეტები. ეს ისეთი ხელისუფლებაა, რომ ჯიქურ თუ გადატეხეს წელში, ამან შეიძლება ქვეყნისთვის უმძიმესი შედეგები გამოიღოს. ეს არის ხელისუფლება, რომელიც ძალაუფლებისთვის ყველაფერზეა წამსვლელი.

## ივანიშვილის სანქცირების რეზოლუციას მხარი ევროკავშირის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა



ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა ამბობს, რომ სწორედ მისი იდეა იყო ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციის გამოქვეყნება. ფოტიგა ასევე ყვება, თუ რა პრობლემები შეექმნა საქართველოში, როდესაც სააკაშვილის ნახვა მოინდომა.

– რეზოლუცია და მისი ნაადრევად დადება იყო ჩემი პირადი მოთხოვნა. მე მყიფედ ვაკვირდებოდი მესამე პრეზიდენტის მდგომარეობას. ასევე მე ხელი შემეშალა მის ნახვაში. დავაყენე მოთხოვნა, საბედნიეროდ, პარლამენტი დაეთანხმა. ეს იყო წინა სესიის დასაწყისში. ყველა ჩვენგანმა ნახა ვიდეოები, რომელშიც ასახულია სააკაშვილი კლინიკაში. ეს ძალიან შემაშფოთებელია. რეზოლუციას, რომელიც ჩვენ მოვამზადეთ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით, აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, რაც ძალიან იშვიათია ევროპის პარლამენტში. ჩვენი შეთავაზება ღიაა. ვინც ამ რეზოლუციის წინააღმდეგია, ჩვენ ვთვლით, რომ ისინი არიან პრორუსი ხალხი, – ამბობს ფოტიგა.

დაუწესდეს სანქციები ბიძინა ივანიშვილს – მესამე რეზოლუცია ევროპარლამენტში და მესამე მოთხოვნა ოლიგარქის სანქცირების შესახებ დამტკიცებულია. მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა ივანიშვილის პერსონალური ვენდეტაა. მას პერსონალური წვლილი მიუძღვის იმაში, რომ საქართველოში დემოკრატია სუსტდება, ამიტომ ევროდეპუტატები ევროსაბჭოს პირდაპირ მოუწოდებენ, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციები აამოქმედოს.

დოკუმენტი 577-მა ევროპარლამენტარმა დაამტკიცა და პირველად ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ეს არ ყოფილა დათქმა რაიმე პირობით. რეზოლუციაში ევროპარლამენტარები პირდაპირ ითხოვენ ივანიშვილის სანქცირებას, ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანისკენ, სალომე ზურაბიშვილს კი სააკაშვილის შეწყალებისკენ მოუწოდებენ.

## იანვარში რუსეთიდან საქართველოში 267.6 მილიონი დოლარი გადმოირიცხა

2023 წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 445.0 მლნ აშშ დოლარი (1.190.9 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 163.5%-ით (276.1 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2022 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 97.7% იმ 21 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც გზავნილების მოცულობა იანვარში თითოეულზე 1 მლნ აშშ დოლარს აღემატებოდა. იმავე 21 ქვეყანაზე გასული წლის იანვარში მთელი ფულადი გზავნილების 92.0% მოდიოდა.

## მაშველებმა თურქეთში 74 წლის ქალი გადაარჩინეს



თურქეთში მაშველებმა 74 წლის ქალი ნანგრევებიდან 227 საათის შემდეგ გამოიყვანეს. თურქული მედიის ცნობით, ჯემილე კეკეჩი მიწისძვრების ეპიცენტრში, კაჰრამანმარასის პროვინციაში გადაარჩინეს. ის უახლოეს კლინიკაშია გადაყვანილი.

ბოლო მონაცემებით, თურქეთში დამანგრეველ მიწისძვრებს 35.418 ადამიანი ემსხვერპლა, 105.505 კი დაშავდა.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რუსეთი გუბერნიად ყოფნასა და საბჭოთა კავშირის აღდგენას გვთავაზობს“

## ლევან ალაფიშვილი: „მომავალი წელი საარჩევნო წელია. „ქართულ ოცნებას“ ბეწვის ხიდზე გავლა მოუწევს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ევროპარლამენტარმა კუბილიუსმა განაცხადა – ვაფრთხილებთ საქართველოს მთავრობას, ვერ მიიღებთ ევროკავშირის სტატუსს, თუ არ ითამაშებთ ჩვენი წესებით. – ამ განცხადებას „ქართული ოცნების“ ლიდერების მძაფრი შეფასებები მოჰყვა. როგორ ფიქრობთ, ეს არის ერთი დეპუტატის განწყობა თუ შეიძლება, ასეთი იყოს?***

– ყოველდღიურად უფრო და უფრო იმატებს დემოკრატიული სამყაროსგან ჩვენი ქვეყნისადმი კრიტიკა, რაც სრულიად მიუღებელია და კარგს არაფერს მოგვიტანს. ეს შეიძლება ცივილიზებული, დემოკრატიული სამყაროსგან იზოლაციის ფასად დაგვიჯდეს. ეს პერიოდი საქართველოს გავლილი აქვს და არაფერი კარგი ამ პერიოდს ჩვენი ქვეყნისთვის არ მოუტანია. საქართველო არ არის თვითკმარი სახელმწიფო, რომ მას არ სჭირდებოდეს დასავლეთის თანადგომა და მეგობრობა. წარმოუდგენელია „ქართული ოცნების“ ის პოლიტიკა, რომელიც მას აქვს დასავლეთის მიმართ.

***– საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზარქუამ განაცხადა, შევარცხვინე ის საქართველო, რომელიც კუბილიუსის თამაშის წესით განვითარდებაო.***

– ეს სრულიად წარმოუდგენელია. პოლიტიკოსებს შევახსენებ, რომ საქართველოსთვის დასავლეთს, ევროკავშირს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ეროვნული ინტერესები დასავლეთთან არის მიბმული. გასაოცარია, დეპუტატი, რომელიც ხალხის მიერ არის არჩეული და უმრავლესობას წარმოადგენს პარლამენტში, უარს ამბობდეს ხალხის არჩევანზე. ამ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის არჩევანი კი ევროკავშირი და დასავლური კურსია, რაც კონსტიტუციით არის გარანტირებული.

კონსტიტუციაში არსებული ნებისმიერი ჩანაწერის დაცვა და მისი განხორციელების ვალდებულება გააჩნია ხელისუფლებას. ამიტომ მიკვირს, ასეთი რიტორიკით საუბრის უფლება საიდან აქვთ.

***– თუ ხელისუფლებას დასჭირდება, შეიძლება, კონსტიტუციის ამ მუხლს გადახედოს?***

– შეუძლებელია. პირველ რიგში, ამის ინსტრუმენტი არ გააჩნიათ. „ქართულ ოცნებას“ დღეს პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს. მეორე, ეს ნამდვილად იქნება მათი, როგორც ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი.

ევროკავშირის, ამ ოჯახის წევრობა ნიშნავს თავისუფალ და დამოუკიდებელ სასამართლოს, თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს, თავისუფალ და სამართლიანი თამაშის წესებით მოქმედებას ყველა მიმართულებით, ყველა განზომილებაში. ძალაუფლების შენარჩუნება ნებისმიერ ფასად არ „მოსულა“ დასავლეთში. ეს ევროკავშირის ღირებულებებისთვის მიუღებელია. ძალაუფლების შენარჩუნება ნებისმიერ ფასად პუტინისთვის არის მისაღები. დემოკრატიის თამაშის წესებზე უარის თქმა კი ნიშნავს რუსეთთან მეგობრობასა და



რუსული ინტერესებით მოქმედებას.

ევროკავშირი ღიად და ძალიან გასაგებად გვიხსნის: ჩვენს ოჯახში არის ასეთი თამაშის წესები. ამ წესებზე ვართ შეთანხმებული. თუ თქვენთვის ეს წესები მიუღებელია, მაშინ ჩვენიანი ვერ გახდებით. უხეშად რომ ვთქვათ, ამას გვეუბნებიან, ჩვენ კი, უფრო კონკრეტულად, „ქართულ ოცნებას“ არ უნდა ამის გაგება.

ამის საპირისპიროდ რუსეთი არაფერს არ ითხოვს „ქართული ოცნებისგან“ – არც დემოკრატიას, არც თავისუფალ სასამართლოს, არც თავისუფალ არჩევნებს. ამიტომ, როგორც ჩანს, „ქართული ოცნებისთვის“ მათთან უფრო მარტივია „მეგობრობა“, მაგრამ ორი დღის წინ მარია ზახაროვამ კარგად შეახსენა – ჩვენც გვაქვს ჩვენი პირობებიო. გასაგებია, რა პირობებიც აქვს რუსეთს, რაც უნდა ჩვენგან. ცხადია, გუბერნიად ყოფნასა და საბჭოთა კავშირის აღდგენას გვთავაზობს. ვიღაცებისთვის საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ შეიძლება ეს მისაღებია, მაგრამ საქართველოსა და ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის არის კი მისაღები?! ამ კითხვას რატომ არ უსვამენ საკუთარ თავს.

***– ევროკავშირმა ამჯერადაც თუ არ მოგვცა სტატუსი, რა პროცესები შეიძლება მოჰყვეს ამას? უარის შემთხვევაში, როგორი შეიძლება იყოს ხელისუფლების პოლიტიკა?***

– პირველ რიგში, ასე თამამად ველარ გააგრძელებს მართვას. ეს უკვე სულ სხვა რეალობა და სულ სხვა მოცემულობა იქნება. მე გამუდმებით თვალწინ მიდგას ის აქცია, რომელიც სრულიად სპონტანურად გაიმართა, სადაც კიდევ ერთხელ ხალხმა თავისი ნება დააფიქსირა. ეს ერთგვარი გამაფრთხილებელი აქცია იყო. ასი ათასი ადამიანი უხმოდ გამოვიდა ქუჩაში და ამით თქვა თავისი სათქმელი.

მეორე, ევროკავშირის უარს აუცილებლად მოჰყვება საერთაშორისო იზოლაცია, რაც სრულიად დამანგრეველი შეიძლება იყოს სახელმწიფოს დემოკრატიული პერსპექტივისთვის.

მესამე, მომავალი წელი საარჩევნო წელია. ამიტომ „ქართულ ოცნებას“ ბეწვის ხიდზე გავლა მოუწევს. ასე მარტივადაც არ დგას საქმე, როგორც, შეიძლება, ვიღაცებს ეგონოთ, თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ვიღაცები შეგუებულიც იყვნენ რუსეთთან ჩაყოლასა და პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლას. რუსეთ-უკრაინის ომს ხომ ამ პრიზმით უყურებენ – თუ რუსეთი მოიგებს, ჩვენც გადავრჩებით, თუ წააგებს, ჩვენც წავაგებთ.

# „ჩვენს ქვეყანას არც რუსეთისა და არც ამერიკის ვასალობა არ აწყობს“

## მამუკა ტუსკაძე: „ხელისუფლებას ოპოზიცია და ხალხი უნდა აკონტროლებდეს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, „ხალხის ძალა“ აცხადებს, რომ მზად აქვს კანონპროექტი უცხოური დაფინანსებით მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ. საკითხი შეეხება უცხოური გავლენის გამჭვირვალობას, რა დროსაც შეიქმნება უცხოური გავლენის აგენტების რეესტრი. ამ ტიპის კანონპროექტის პარლამენტში განსახილველად შეტანას რაიმე პოზიტიური მნიშვნელობა აქვს? ზოგმა ეს პროექტი პრორუსულად მონათლა.***

– არავითარი პრორუსულობა. ამგვარი კანონის მიღება დაგვიანებულია და ადრე უნდა მიეღოთ. საქართველოში არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება, რომელსაც „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ ჰქვია. ამ არასამთავრობოთა კოალიციაში გაერთიანებული არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც წარმოუდგენლად დიდი მასშტაბის თანხებს იღებენ. ამ თანხების წარმომავლობა კი დაუზუსტებელია.

ისინი ძირითადად გრანტებს იღებენ. ზოგი ღიაა, მაგალითად, აშშ-ის საელჩოს, იუსაიდის დაფინანსება.

***– „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ვისი ორგანიზაციაა?***

– ამერიკის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციაა და დაახლოებით 50 არასამთავრობო ორგანიზაცია შედის. საქართველოს 100 ათასი მოქალაქე ხელფასს იღებს გრანტის



სახით და ქვეყანაში მოქმედებს.

***– ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას საელჩოს მეშვეობით ვერ გაიგებენ?***

– საელჩო მისიის ფარგლებს ვერ გასცდება. საქართველოში ამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია ამიტომ აქვს რეგისტრირებული. მათ საელჩოს გავლით ან პირდაპირ არეგისტრირებს და თანხებს ურიცხავს, რაც 1990-იანი წლიდან მოყოლებული, დღემდე გრძელდება.

***– ამ საკითხში დადებითი არაფერია?***

– დადებითი ის არის, რომ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც მუშაობს, ხელფასი აქვს.

***– ხელისუფლების კონტროლის თვალსაზრისით, დადებითი არ არის, რომ, ვთქვათ, ხელისუფლება რაღაც გარკვეულ ზღვრებს არ გასცდეს?***

– ხელისუფლების კონტროლი ოპოზიციის ვალდებულებაა. კონსტრუქციული ოპოზიცია და ხალხი მეტად უნდა აქტიურობდეს. ხელისუფლებას ოპოზიცია და ხალხი უნდა აკონტროლებდეს.

ხელისუფლება ოპოზიციამ, მედიამ და გამჭვირვალე არასამთავრობოებმა უნდა გააკონტროლონ და არა ისეთმა არასამთავრობოებმა, რომლებიც ერთ პასუხსაც არ მოგცემენ საჯარო ინფორმაციის სახით.

***– რუსეთი საქართველოში ჰიბრიდული მეთოდებით ძალიან ბევრს აკეთებს. ალბათ, დამეთანხმებით.***

– რა თქმა უნდა, აკეთებს და ცუდია, რომ აკეთებს, მაგრამ შედარება არ არის. ამერიკული აგენტურული ქსელი უფრო მძლავრად არის საქართველოში, ვიდრე – რუსული. თუმცა, რუსული ახლა კიდევ უფრო ძლიერდება და, თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ, ამერიკულს ჩაანაცვლებს.

იმედი მაქვს, ასე არ გაგრძელდება. ჩვენს ქვეყანას არც რუსეთისა და არც ამერიკის ვასალობა არ აწყობს. ასე არ უნდა ხდებოდეს. ამერიკა იქნება თუ სხვა ქვეყნები, მათთან პარტნიორული ურთიერთობები უნდა გვქონდეს ყველა საკითხზე, რაც შეიძლება, ჩვენს ინტერესებში იყოს.

***– იმედია, ეს საქართველო-ამერიკის პარტნიორულ ურთიერთობებს, სტრატეგიულ პარტნიორობას ხელს არ შეუშლის. როგორც ამ კანონპროექტის ავტორები ამბობენ, ასეთი კანონი ამერიკაში მოქმედებს, თუ არ ვცდები, აქვეყნებს უცხოური გავლენის აგენტების, ლობისტების საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.***

– ამერიკელები თავის თავს იცავენ. აბა, ამერიკაში გადარიცხე 10 ათასი დოლარი, ამერიკის ფედერალური ბიუროს დასკვნა სჭირდება, საიდან აქვს, რა წარმოშობისაა, რატომ გადმოირიცხა. ჩვენთან მოდის და მოდის გრანტები, რომლებსაც სხვადასხვა ვითარებაში მოიხმარენ.

***– როგორც მახსოვს, ნაცების დროს საქართველოში შემოსულ გრანტებს ის ორგანიზაციები იღებდნენ, რომლებსაც ნაცმოძრაობა თანხმობას მისცემდა. თქვენ თუ გახსოვთ ეს?***

– დიახ. მე მაშინაც მქონდა არასამთავრობო ორგანიზაცია და გრანტი ვერცერთხელ ვერ ავიღე.

***– მაშინ შემოსულ გრანტებს ნაცმოძრაობის ხელისუფლება აკონტროლებდა და მათზე გაიცემოდა, ვინც მათთვის სანდო იყო.***

– ნამდვილად ასე იყო. დღეს ნაცმოძრაობა ოპოზიციაშია, მაგრამ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს ნაცმოძრაობა აკონტროლებს. ისინი ნაცმოძრაობასთან რაფინირებული არიან. არცერთი ზემოთ ხსენებული არასამთავრობო „ქართულ ოცნებასთან“ რაფინირებული არ არის. თუმცა, „ქართულ ოცნებასაც“ ჰყავს თავისი არასამთავრობო ორგანიზაციები.



***– „ოცნების“ ორგანიზაციებს ვინ აფინანსებს?***

– „ოცნების“ არასამთავრობოებს სახელმწიფო აფინანსებს.

***– რა ფორმატში?***

– სამინისტროები აკეთებენ პროგრამებს და საგრანტო კონკურსებს აცხადებენ. მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საგრანტო კონკურსს არჩევნების მონიტორინგზე, სასჯელაღსრულებისა და სხვადასხვა მიმართულებით და ბიუჯეტის ფულს აძლევს. იუსტიციის სამინისტრო კარგი, ძლიერი დონორი ორგანიზაციაა, საგრანტო კონკურსს ძალიან ხშირად აცხადებს, რომელსაც „ოცნებასთან რაფინირებული ორგანიზაციები იღებენ.

***– „ოცნებასთან“ რაფინირებული არასამთავრობოების გარდა, საქართველოს სახელმწიფო გრანტს სხვა ვერ აიღებს?***

– გრანტს სხვებიც იღებენ. რა თქმა უნდა, მონაწილეობა და გრანტის მიღება სხვებსაც შეუძლიათ. უბრალოდ, განსხვავება ის არის, რომ ამ კონკურსში, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო აცხადებს, „ამერიკული“ ორგანიზაციები არ მონაწილეობენ, რადგან მათ ძალიან დიდი თანხები აქვთ და ის თანხები დათმობილია სხვადასხვა აგენტურული არასამთავრობო ორგანიზაციისთვის.

***– გრანტები ევროპიდან არ შემოდის?***

– დიახ, გრანტები ამერიკიდან და ევროპიდან შემოდის.

# საგარეჯოში ავარიით 3 ადამიანი დაიღუპა




ავტოსაგზაო შემთხვევა კახეთში – ავარიას 3 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის არის მცირეწლოვანი ბავშვი.

შემთხვევა საგარეჯოს გზაზე მოხდა. თვითმხილველების თქმით, ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და სატვირთო მანქანა შეეჯახნენ.

შეჯახების შედეგად გარდაიცვალა ორი მგზავრი, ხოლო საავადმყოფოში გადაყვანისას დაიღუპა მცირეწლოვანი, რომელიც მსუბუქ ავტომობილში იმყოფებოდა.

რაც შეეხება დაშავებულებს, ორი მამაკაცი და ერთი ქალი, საგარეჯოს ჯეო ჰოსპიტალში არიან გადაყვანილი. ექიმების ინფორმაციით, მამაკაცებს თავის არეში ნაკვეთი ჭრილობები აქვთ, ქალი კი მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

მომხდარ ფაქტზე დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები.

# „მთავარი ამოცანებია ყირიმში შესვლა და დონბასის გათავისუფლება“

მარიამ მჭედლიშვილი

## უკრაინელი თადარიგის პოლკოვნიკი: „ავიაციას იმისთვის გვაძლევენ, რომ უკრაინის ტერიტორია 1991 წლის საზღვრებამდე გავათავისუფლოთ“

თანამედროვე მძლავრი ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების გარდა, დასავლეთი უკრაინას ავიაციასაც მიაწვდის. დეტალები, დიდი ალბათობით, არ გახმაურდება. უკრაინელი თადარიგის პოლკოვნიკი, მფრინავი-კონსტრუქტორი რომან სვიტანი აღნიშნავს, რომ სახმელეთო ტექნიკის გადმოცემას ავიაციის გარეშე აზრი არა აქვს. მისი თქმით, სხვადასხვა ქვეყნის სამხედროებსა და უკრაინის ხელმძღვანელობას დიდი ძალისხმევა დასჭირდათ პოლიტიკური ლიდერების ამაში დასარწმუნებლად. მალე უკრაინას სხვა დონის შეიარაღება ექნება და, თუ მისი მიწოდების დინამიკა შენარჩუნდა, სპეციალისტები უკრაინის გამარჯვებას წელსვე პროგნოზირებენ. რომან სვიტანი უკრაინულ მედიას ესაუბრა.



**რომან სვიტანი:**

– თვითმფრინავები გადმოგვეცემა, თუმცა თვითმფრინავების მიღება და მფრინავების მომზადება სხვადასხვა რამეა. გადაწყვეტილება თვითმფრინავების გადმოცემის თაობაზე იქნება სტარტი საფრენი შემადგენლობის მოსამზადებლად. შესაძლებელია, რომ მომზადებას მფრინავები ფ-16-ის თვითმფრინავებზეც გადიოდნენ.

გაზაფხულამდე თვითმფრინავებს ვერ მივიღებთ. პირველი კლასის გამოცდილი მფრინავების გადამზადება შეიძლება სამ თვეში.

ინფორმაცია იმაზე, თუ რა რაოდენობითა და რომელი სახეობის თვითმფრინავები მოგვეწოდება რომელი ქვეყნებიდან, სავარაუდოდ, დახურული იქნება. რაც გახმაურდება, კონკრეტული არ იქნება. არსებობს მონაცემები, რომ დიდი ბრიტანეთი მზად არის, მოამზადოს ჩვენი პილოტები.

***– უნდა ვიქონიოთ თუ არა იმედი, რომ გადმოგვეცემა უფრო ახალი მოდიფიკაციის თვითმფრინავები, ვიდრე არის ფ-16 ც/დ?***

– ფ-16 ც/დ არ არის ცუდი მოდიფიკაციის თვითმფრინავი. რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს. გვირჩევნია, მივიღოთ ერთი მოდიფიკაციის თვითმფრინავები.

***– არც ისე დიდი ხნის წინ აშშ-მ, ასევე სხვა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ არ აპირებენ ფ-16-ის უკრაინისათვის მოწოდებას. ახლა კონცეფცია შეცვლილია. რა მოხდა მას შემდეგ?***

– როცა ითქვა, რომ მოწოდებისთვის მზად არ არიან, ეს იმ მომენტში მართლაც ასე იყო. ამ საკითხზე არ არსებობდა კონსენსუსი. ამჟამად კონსენსუსს უახლოვდებიან. შეტევითი შეიარაღების კონცეფცია ითვალისწინებს საავიაციო შემადგენელსაც. ყველაფერი, რაც არის შეტევისას ხმელეთზე, სამიზნეა მოწინააღმდეგის ავიაციისთვის. აქედან გამომდინარე, მძიმე ტანკებისა და ახალი „ბმპ“-ების გადმოცემა ავიაციით მათი დაცვის გარეშე იგივეა, რაც მათი ჩაძირვა წყნარ ოკეანეში. ეს კონცეფცია კარგად ესმით ნატოს წევრი ქვეყნების სამხედროებს, მათ შორის, პენტაგონში. სამწუხაროდ, მას ვერ აცნობიერებენ პოლიტიკოსები. ამაზე მუშაობს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ამ მოძრაობას უკვე მოაქვს ნაყოფი.

***– რუსეთი შეტევისთვის ემზადება. ამბობთ, რომ თვითმფრინავები გაზაფხულზე გადმოგვეცემა. რატომ დაგვიანდა ეს გადაწყვეტილება? მიზეზი ის არის, რაზეც ისაუბრეთ?***

– კონცეფცია წლის განმავლობაში იცვლებოდა. იცვლებოდა მთელი მსოფლიო პოლიტიკუმის მიდგომა ჩვენი ომის მიმართ. იქმნებოდა გარკვეული კავშირები. გეოპოლიტიკა – ეს არ არის გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება.

სანამ გეოპოლიტიკაში არ გადაწყდა ყველა საკითხი, კონცეპტუალური გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხდა.

***– რა მიზნის მისაღწევად გვაძლევენ ამ ეტაპზე ავიაციას? როგორ შეცვლის ეს სიტუაციას ფრონტზე?***

– ავიაციას, ერთმნიშვნელოვნად, გვაძლევენ უკრაინის ტერიტორიების გასათავისუფლებლად 1991 წლის საზღვრებამდე. დონბასი, ზაპოროჟიეს ოლქი, ყირიმი – უკრაინის მთელი ოკუპირებული ტერიტორია გათავისუფლდება ავიაციის დახმარებით. ჩვენი პარტნიორები უკრაინასთან ერთად წყვეტენ ქვეყნის დეოკუპაციის საკითხს 1991 წლის საზღვრებამდე.

***– აქვს თუ არა რუსეთს საშუალებები დასავლეთის ტექნიკასთან დასაპირისპირებლად?***

– რუსეთს აქვს დაახლოებით ამ დონის ასეულობით თვითმფრინავი, თუმცა ეს თვითმფრინავები ნატოს თვითმფრინავებს ვერ შეედრება და, სავარაუდოდ, ნატოს თვითმფრინავებს ვერაფერს ვერ დაუპირისპირებს.

***– ომის დამთავრების პერსპექტივა როგორია?***

– ჩვენ ორი სტრატეგიული ამოცანა გვაქვს. პირველი – აზოვის ზღვის სანაპიროზე გასვლა და ყირიმში შესვლა. ამის გაკეთება შესაძლებელია ზაფხულამდე ან ზაფხულში. მეორე ამოცანაა დონბასის საკითხი. თუ შეიარაღების მოწოდების დინამიკა შენარჩუნდა, 1991 წლის საზღვრებამდე გასვლას წელს შევძლებთ.

# კახა კალაძე: „რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს“

– რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ ევროპარლამენტის მიერ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მიღებული რეზოლუციის კომენტირებისას განაცხადა.

კალაძის თქმით, რეზოლუციას, რომელშიც სიცრუეზე, სიყალბეზე და კრიმინალების მფარველობაზე მითითებებით არის საუბარი, სერიოზული სახე ვერ ექნება.

კახა კალაძის განცხადებით, დოკუმენტი ვერ იქნება ღირებული, როდესაც „მეცენატზე, ქველმოქმედზე გვეუბნებიან, რომ უნდა დასანქცირდეს“.

– მე დილითაც ვთქვი, რომ რეზოლუციისგან არაფერს ახალსა და განსხვავებულს არ ველოდი და შედეგი მართლაც იგივეა. არაფერი სიახლე რეზოლუციას არ აქვს, არა აქვს არანაირი ფასი, ჩალის ფასი აქვს. როდესაც სიცრუეზე, სიყალბესა და კრიმინალების მფარველობაზე პირდაპირი მითითებებით არის საუბარი, ამ რეზოლუციას, რა თქმა უნდა, სერიოზული სახე ვერ ექნება.

აბსოლუტურად გულწრფელად ვამბობ, 2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს დღესაც იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა რაც შეიძლება სწრაფად გახდეს იმ დიდი ოჯახის წევრი, რასაც ევროპა ჰქვია. ბევრი კონკრეტული პროექტი განვახორციელეთ. ბევრი წარმატება იყო, მიუხედავად სირთულეებისა. დღესაც ჩვენ ვიმსახურებდით სტატუსის მიღებას, მაგრამ იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული არ მიცემასთან დაკავშირებით. ეს გააკეთეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ.



რაც შეეხება შემდეგ ნაბიჯებს – მოგვცეს 12-პუნქტიანი გეგმა და აქაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ეს დათქმები შესრულდეს და სტატუსი მივიღოთ და ამ დროს რა ხდება? ამ დროს გამოდის ვინმე კუბილიუსი და გვეუბნება, რომ თუ სააკაშვილი, რომელიც არის კრიმინალი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და სტრასბურგმაც დაადასტურა ეს, არ იქნება გათავისუფლებული, ქვეყანა ვერ მიიღებს სტატუსს.

მე ვეკითხები ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, ვისაც აქვს სურვილი ევროინტეგრაციის, აი, ეს დამოკიდებულება, ეს მიდგომები მისაღებია? ჩვენ თავმოყვარეობა ხომ გაგვაჩნია, კაცო? ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო ხომ გვიყვარს? თუ ჩვენ და ხელისუფლებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს, შანტაჟის ენით ესაუბრებიან, აშანტაჟებენ, მისაღებია? მე დარწმუნებული ვარ, არც ერთი თავმოყვარე ქართველი, ადამიანი არ მიიღებს ამ ლექსიკით საუბარს, რასაც ე.წ. მეგობრები აკეთებენ ჩვენს ქვეყანასთან მიმართებით. ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი.

ვიცავდით, ვიცავთ ჩვენი სამშობლოს ინტერესებს და ყოველთვის ამას გავაკეთებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ საინტერესო ქვეყანა ვართ ევროპისთვის და ჩვენ თავს ვთვლით ევროპელებად. ჩემთვის მნიშვნელოვანია ასევე, ჩემი ქვეყნის ტრადიციები, ის ღირებულებები, რაზეც საუკუნეებია ჩვენი ქვეყანა დგას და ეს გადაწყვეტილებები, ეს აბსურდული, შეურაცხმყოფელი განცხადებები, რა თქმა უნდა, აზიანებს ყველაფერს.

დოკუმენტი ვერ იქნება ღირებული, სადაც საუბარია კრიმინალის პირდაპირ მფარველობაზე თავისი ლობისტების მხრიდან. დოკუმენტი ვერ იქნება ღირებული, როდესაც მეცენატზე, ქველმოქმედზე გვეუბნებიან, რომ უნდა დასანქცირდეს, – განაცხადა კახა კალაძემ.

# „სტრატეგია აღმაშენებელი“: „ქართული ოცნება“ ისტორიულ შანსს გვაკარგვინებს“

– მაშინ, როცა „ქართული ოცნება“ მიზანმიმართული ქმედებებით ქვეყანას აკარგვინებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, მეორეხარისხოვან საკითხებზე ყურადღების გადატანა და კინკლაობა დანაშაულია, – ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც „სტრატეგია აღმაშენებელი“ ავრცელებს და ეხმაურება „უცხოური გავლენის“ თაობაზე „ხალხის ძალის“ კანონპროექტს.

როგორც პარტიაში აცხადებენ, „ქართული ოცნება“ კვლავ მიზანმიმართული ქმედებებით ამცირებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შანსს.

– ყველამ ვიცით, რომ კანდიდატის სტატუსის მიღების გარეშე წარმოუდგენელია ევროკავშირის წევრობა. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე ვერ მიიღებს იმ 14 მილიარდის ოდენობის სიკეთეს, რომელიც სხვადასხვა პროექტით გარდამავალ პერიოდში უნდა მიეღო ქვეყანას ევროკავშირისგან. ეს არის წარმოუდგენელი მასშტაბის შეთქმულება და ღალატი საქართველოს წინააღმდეგ.

როგორც წინა წელს მიზანმიმართულად სჩადიოდნენ ანტიევროპულ ქმედებებს: იღებდნენ ანტიდემოკრატიულ კანონებს, რომ ქვეყანას ვერ მიეღო კანდიდატის სტატუსი; მაგალითად, მოსმენების შესახებ კანონი; ნიკა გვარამიას დაკავება. ახლაც შემოიტანეს ე.წ. კანონი უცხოური გავლენის აგენტების შესახებ, რომელიც თავისი არსით რუსულ და ბელორუსულ კანონებთან უფრო ახლოს არის და პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართლებრივ სისტემასა და ღირებულებებს.

უფრო მეტიც, ევროკავშირის არც ერთ ქვეყანაში არ მოქმედებს კანონმდებლობა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს დაფინანსების მიღების გამო უცხოეთის აგენტებად აცხადებენ. ასევე, მიმდინარეობს სააკაშვილის განადგურების სპეცოპერაცია, რაც კიდევ უფრო გვაშორებს ევროპას, ევროპულ პერსპექტივას, ევროპულ კომფორტს, ევროპული ცხოვრების დონეს.

სწორედ ამიტომ, როცა ამ ისტორიულ შანსს გვაკარგვინებს „ქართული ოცნება“ და მიმდინარეობს წარმოუდგენელი მასშტაბის შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, ახლა მეორეხარისხოვან საკითხებზე პოლიტიკური კინკლაობა დანაშაულია.

ჩვენ, „სტრატეგია აღმაშენებელი“ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ ყველაფერს ვაკეთებდით და გავაკეთებთ, რომ ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი.

კიდევ ერთხელ, გთხოვთ, დავდგეთ ერთად ევროპული პერსპექტივის გადარჩენისთვის, საქართველოს უსაფრთხოებისთვის, ჩვენი შვილების უკეთესი მომავლისთვის, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

# ლევან იოსელიანი: „ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, სწორი იქნება, სააკაშვილს სხვა ქვეყანაში მკურნალობის საშუალება მიეცეს“

– ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, სწორი იქნება, სააკაშვილს სხვა ქვეყანაში მკურნალობის საშუალება მიეცეს, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან საქართველოს პარლამენტში „მოქალაქეების“ დეპუტატმა ლევან იოსელიანმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ევროპარლამენტის რეზოლუციას მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, რომელსაც კენჭი დღეს ეყრება.



იოსელიანი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რეზოლუციები ინიცირებულია არა რამდენიმე დეპუტატის, არამედ 50-ზე მეტი ევროპარლამენტარის მიერ.

– საბოლოო ჯამში, რეზოლუციების მთავარი გზავნილი არის, რომ მიხეილ სააკაშვილს მიეცეს თავის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორების და მკურნალობის საშუალება საზღვარგარეთ. ამაზე პირველივე დღიდან მაქვს ანალოგიური პოზიცია, მას საშუალება უნდა ჰქონდეს იმკურნალოს იმ ქვეყანაში, სადაც სთავაზობენ, რომ იმკურნალოს. მისი ჯანმრთელობის ინსტრუმენტალიზაცია, პოლიტიკური ნიშნით გამოყენება მისი პარტიის, მისი ოპონენტების მხრიდან, უნდა დასრულდეს და ამით საქართველომ არ იზარალოს. ყველაზე მთავარი არის სტატუსის მიღება, – განაცხადა იოსელიანმა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით პენიტენციარული სამსახურის მიერ გავრცელებულ კადრებს, იოსელიანი ამბობს, რომ სხვადასხვა სახის კადრი გავრცელდა და ზოგიერთ მათგანში „სააკაშვილი კარგად არ არის, ასევე გამოქვეყნდა კადრები, სადაც კარგად არის და მოძრაობს“.

იოსელიანი მიიჩნევს, რომ საქართველოში საზოგადოებას არ სჯერა, რომ „სააკაშვილი კვდება“, თუმცა ეს დამაჯერებელია ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

– საზოგადოებას რომ სჯეროდეს, ამ კადრების ნახვის შემდეგ, რომ სააკაშვილი კვდება, მაშინ მას ჯანსაღი რეაქცია ექნებოდა, გამოვიდოდა და გააპროტესტებდა ამ ყველაფერს. ამიტომ მგონია, რომ ეს დამაჯერებელი არ არის, ეს ასე რომ იყოს, ხალხმრავალ გამოსვლებს ვნახავდით ქუჩაში, მისი მხარდამჭერების 10 პროცენტი მაინც ხომ უნდა გამოვიდეს? ვფიქრობ, ეს უფრო დამაჯერებელია ქვეყნის გარეთ. ევროპარლამენტში ვხედავთ რეზოლუციას, ვნახეთ გადახდილი თანხაც, რაც ამ კამპანიას ემსახურება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, რადგან ეს ადამიანი ამბობს, რომ არ აქვს საშუალება მიიღოს მკურნალობა საქართველოში, რაც სჭირდება, ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, სწორი იქნება, მიეცეს სხვა ქვეყანაში მკურნალობის საშუალება, – განაცხადა იოსელიანმა.

# შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილი საწოლიდან ველარ დგება, მწოლიარე მდგომარეობაშია, ძალიან ცუდადაა“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, სააკაშვილი საწოლიდან ველარ დგება.

როგორც ხაჭაპურიძე განმარტავს, ახლა დრომ ათვლა სააკაშვილის წინააღმდეგ დაიწყო.

– გუშინ ვნახე, ველარ დგება, ველარ გადაადგილდება, მწოლიარე მდგომარეობაშია, ძალიან ცუდადაა. საზოგადოებას ხშირად ესმის – ცუდადაა, ცუდადააო, მეორე მხარე განცხადებებს აკეთებს, რომ ეს ტყუილია, თუმცა გავრცელებულმა კადრებმა თვალნათლივ დაანახა საზოგადოებას, რა მძიმე მდგომარეობაა. ჩვენ 14 დეკემბრამდე გვაქვს მისი იქ ცხოვრების ვიდეომასალა გამოთხოვილი, ამასაც მისი თანხმობით გავასაჯაროებთ და, როცა აპელაციაში დაიწყება საქმის მასალების განხილვა, შემდეგ კადრებსაც მოვითხოვთ. იმაზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე ახლა საზოგადოება უყურებს.

მოწინააღმდეგე მხარე სასამართლოში აცხადებდა, რომ სააკაშვილს გულყრის ეპიზოდები არ ჰქონია და რომ ეს მხოლოდ მისი გადმოცემით იყო. მოსამართლემაც აღნიშნა, რომ ექიმები გულყრის ეპიზოდებს არ ადასტურებდნენ. ჩვენ 8 გულყრის ეპიზოდი ვიცოდით, დანარჩენი თვითონ სააკაშვილსაც არ ახსოვს და არც ავადმყოფობის ისტორიაშია აღწერილი, ამ დროს ვიდეოკადრებში გულყრის ეპიზოდები ჩანს. ახლა ჯგუფი ზის და ვიდეომასალას ამუშავებს, კიდევ რამდენიმე გულყრის ეპიზოდი დაფიქსირდა.

17 მეცნიერი იყო საქმეში ჩართული და დადო თავისი დასკვნა. ამის საპასუხოდ, სასამართლოში გაყალბებული საექსპერტო დასკვნა მოიტანეს, რომელიც კიდევ კარგი, მოსამართლემ საერთოდ არ გამოიყენა თავის გადაწყვეტილებაში, საერთოდ არ შეეხო, იმდენად უსუსური დასკვნა იყო. მეორე მხრივ, ნინო ნადირაძე მოიყვანეს სასამართლოში, რომელმაც არაფერზე პასუხი არ გასცა, ამბობდა, ეს ჩემი საქმე არ არის, ისტორიებს არ ვიცნობო. გაგვართო და თქვა, სააკაშვილი არ ჭამს, თორემ ყველაფერი კარგად არისო. რა კავშირშია კვება დემენციასთან და ა.შ. ამასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, პასუხები ვერ მივიღეთ, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

რაც შეეხება მოსამართლის დასაბუთებულ განაჩენს, როგორც ხაჭაპურიძემ განმარტა, გიორგი არევაძემ ექსპერტების მიერ დასმული დიაგნოზები არ უარყო.

– მოსამართლემ თქვა, რომ დემენციას და არც იმ დიაგნოზებს უარვყოფ, რაც აქვსო, საერთო ჯამში, 47 დიაგნოზზეა საუბარი, მაგრამ მიუხედავად ამ დიაგნოზების არსებობისა, მას კიდევ სხვა დანაშაულები აქვს ჩადენილიო. საზოგადოებამ რომ იცოდეს, რა დანაშაულზეა აქ საუბარი – სააკაშვილს, არც ვიცი – ვინ, გადასცეს წიგნი, ეს მე-12 დაწესებულებაში ჰქონდა, როცა უკვე „ვივამედში“ გადაიყვანეს და საკნის ჩხრეკა მოხდა, წიგნში 100-დოლარიანი კუპიურა იპოვეს, ამაზეა სისხლის სამართლის საქმე აღძრული – აკრძალული ნივთი ვუპოვეთ წიგნშიო. თვითონ სააკაშვილმა არც იცოდა, ეს დოლარი იქ იდო თუ არა, გამორიცხული არ არის, ეს პროვოკაციის გზით აღმოჩნდა იქ.



მეორე საქმე – სააკაშვილს ვახტანგ კიკაბიძემ მე-12 დაწესებულებაში შეაკითხა, ის დიალიზზე იყო, ცუდად გახდა, ეს გაიგო სააკაშვილმა და კარებს ხელებისა და ფეხების დარტყმა დაუწყო, ადამიანს უშველეთ, ცუდად არისო, ამაზეა მეორე სისხლის სამართლის საქმე აღძრული. მოსამართლემ ამ საქმეებზე თქვა, ვინაიდან სისხლის სამართლის ეს ორი საქმეა, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, არც უნდა გათავისუფლდეს სასჯელისგან და არც უნდა გადაუვადდესო. მოსამართლემ თქვა, კი აქვს ეს დიაგნოზები, მაგრამ კანონი არ მავალდებულებს, ეს ადამიანი გავათავისუფლოო, ცალსახად პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ამას სამართალთან არანაირი კავშირი არ აქვს. ახლა სააპელაციო საჩივარი იწერება და შევიტანთ.

სტრასბურგის საკითხი თავად სააკაშვილის გადასაწყვეტია, უფრო სააპელაციო საჩივრის მომზადებაზე ვართ გადართული, საჩივარს, ხვალ, ან ზეგ შევიტანთ და 2 კვირაში სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, სხდომა ჩანიშნოს და დაამთავროს პროცესი, შეიძლება ერთ სხდომაშიც დამთავრდეს, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

კითხვაზე, ხომ არ იყო მცდელობა, სააკაშვილის საკითხი პოლიტიკური მიმართულებით მოგვარებულიყო, ხაჭაპურიძემ დადებითი პასუხი გასცა.

– დასამალი არც არაფერია, იყო ეს მცდელობა, მაგრამ მეორე მხრიდან – ხელისუფლებიდან არანაირი ინტერესი არ გამომჟღავნებულა. ჩვენი პოზიცია იყო ცალსახა – რა ინტერესი გაგაჩნიათ, რა გინდათ, ადამიანი კვდება, უმძიმეს მდგომარეობაშია, რა გინდათ, გაგვაგებინეთო. ყველა ხვდება, ე.წ. განაჩენები რაც არის და კიდევ იქნება, 100-დოლარიანი განაჩენები, მთავარი რომ არ არის. რა უნდა ამ ხალხს, რა ინტერესი აქვთ, რას ერჩიან?! ერთი გაფიქრება ვიფიქრე, შეიძლება, საქართველოშიც არ წყდება სააკაშვილის ბედი. ხელისუფლებასთან მქონდა საუბარი, ერთ-ერთ წარმომადგენელთან – გაგვაგებინეთ, რა გინდათ, „სადაა ძაღლის თავი ჩამარხული-მეთქი“, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს, რეაქცია – ნული. აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ საქართველოში სააკაშვილის ბედი ვერც წყდებოდეს, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

## პროკურატურამ ხობის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა



პროკურატურამ ხობში თავის არეში ქვის ჩარტყმით განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 13 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურის ტერიტორიაზე ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაზარალებულს ქვის ჩარტყმით თავის არეში დაზიანებები მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

## ყალბი დიპლომი, სერტიფიკატები, უცხო ქვეყნის მართვის ყალბი მოწმობები და პარკირების საშვები – ვინ დააკავა საგამოძიებო სამსახურმა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, რომელსაც ქ. თბილისში გააჩნდა ბეჭდვითი და სარეკლამო მომსახურების ოფისი, დაინტერესებულ პირებზე, შესაბამისი თანხის გადახდის სანაცვლოდ, ამზადებდა და ასაღებდა ფულადი გზავნილების შესახებ ყალბ ამონაწერებს. ბრალდებული დაკავებულ იქნა ერთ-ერთ მოქალაქეზე ყალბი საბანკო ამონაწერის გასაღების ფაქტზე. საგამოძიებო მოქმედებების პროცესში აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციის სახელით დამზადებული ყალბი დოკუმენტები, მათ შორის ყალბი დიპლომი, სერტიფიკატები, უცხო ქვეყნის მართვის ყალბი მოწმობები და პარკირების საშვები.

ასევე, ამოღებულ იქნა ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკა და სახელმწიფო უწყებების, კერძო ორგანიზაციებისა და საბანკო დაწესებულების ყალბი ბეჭდები, – ნათქვამია განცხადებაში. უწყების ცნობით, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 6 წლამდე ვადით.

## კანონიერად გამოქვეყნდა თუ არა სააკაშვილის ახალი კადრები

2023 წლის 15 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციარული სამსახურის მიერ გასაჯაროვდა პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ამსახველი ვიდეოჩანაწერები.

აღნიშნული ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებისთანავე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 4013 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკუთარი ინიციატივით, დაუყოვნებლივ დაიწყო შემოწმება მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების კანონიერების შესწავლის მიზნით.

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, სამსახურში მიმდინარეობს სპეციალური პენიტენციარული სამსახურის მიერ პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ამსახველი ვიდეოჩანაწერების 2022 წლის 14 დეკემბერს გასაჯაროების კანონიერების შემოწმება, რომელთან დაკავშირებით აქტიურად ტარდება შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მოქმედებები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური შესწავლის შედეგების შესახებ საზოგადოებას დამატებით აცნობებს.

## ვინ არის ქალი, რომელმაც შურისძიების მიზნით დუშეთში სამი ძაღლი მოკლა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში მომხდარ შემთხვევას. მოქალაქეები ამბობენ, რომ ადგილობრივმა 3 უსახლკარო ძაღლი, სავარაუდოდ, საწამლავით დახოცა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქალის შვილს ერთ-ერთმა ძაღლმა ასაფეთქებლის აფეთქების შემდეგ უკბინა.

ერთ-ერთი მოქალაქე ჰყვება, რომ აღნიშნული პირი რამდენიმე დღით ადრე სოციალურ ქსელში ძაღლების მოკვლით იმუქრებოდა. ცხოველთა უფლებადამცველები ასაჯაროებენ დუშეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლის, დოდო ჩოხელისა და ცხოველთა დამცველის სატელეფონო საუბარსაც, სადაც ჩოხელი დახოცვას ამართლებს.

უფლებადამცველები ითხოვენ, რომ დოდო ჩოხელმა დაკავებული თანამდებობა დატოვოს. დამნაშავის დასჯის მოთხოვნით კი დღეს გენერალურ პროკურატურასთან ცხოველთა უფლებადამცველების აქციაც იგეგმება.

## ზუგდიდში ავტომობილი 70 წლის ქალს დაეჯახა, მძღოლი მიიმალა

ავტოსაგზაო შემთხვევა ზუგდიდში. მსუბუქი ავტომობილი 70 წლის ქალს დაეჯახა. მისი მდგომარეობა მძიმეა. ის ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

არსებული ინფორმაციით, მძღოლმა უსაფრთხოების მართვის ცენტრში, 112-ში დარეკა, მანქანა შემთხვევის ადგილას დატოვა და მიიმალა.

შემთხვევის ადგილას ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ. საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

## გურიაში იუსტიციის სახლი გაქურდეს

ჩოხატაურში, სოფელ კოხნარში იუსტიციის სახლი გაქურდეს და შენობაში მდგარი „ლიბერთი ბანკის“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ეს უკვე მეექვსე შემთხვევაა, როცა კოხნარის იუსტიციის სახლი იქურდება. გასულ წელს შენობას ყუმბარაც კი ესროლეს, თუმცა არცერთი შემთხვევა ამ დრომდე არ გახსნილა. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სახლის მიმდებარედ პოლიცია მუდმივად პატრულირებს და იქვე სათვალთვალო კამერებიცაა, თუმცა პოლიცია დამნაშავეების დაჭერას წლებია ვერ ახერხებს.

## სუპერმარკეტში მომხმარებლებმა ბავშვის გატაცება აღკვეთეს



აშშ-ში ქალი ციხეში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც კოლორადოს შტატში სუპერმარკეტიდან ბავშვის გატაცება ცადა.

აღნიშნული ინციდენტი 9 თებერვალს ქალაქ ალამოსში მოხდა. ბავშვის გატაცება სუპერმარკეტის მომხმარებლებმა აღკვეთეს, რომლებმაც შენიშნეს, რომ ქალმა ბავშვს ხელი სტაცა, რომელიც საყიდლებისთვის განკუთვნილ ურიკაში იჯდა.

– თვითმხილველთა ერთობლივი მოქმედებების წყალობით ქალის შემთხვევის ადგილზე პოლიციის მისვლამდე დაკავება მოხერხდა, ბავშვი კი მშობლებს დაუბრუნეს, – ნათქვამია ქალაქის პოლიციის დეპარტამენტის ოფიციალურ შეტყობინებაში.

მოგვიანებით გაირკვა, რომ გამტაცებელი კოლორადოს მკვიდრი, 50 წლის კიმბერლი ჯონსი აღმოჩნდა. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, ქალი დაკავების დროს ყვიროდა: „ახლავე მოვკლავ ამ შობელძაღლ ბავშვს, ვინმემ დარეკეთ ბავშვთა დაცვის სამსახურში, გამოიძახეთ პოლიცია“.

ამ დროისთვის ჯონსი დაპატიმრებულია. მას წაყენებული აქვს გატაცების, მუქარის, ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებები. არ არის ცნობილი, თუ რამ უბიძგა ქალს ამ ნაბიჯის გადადგმისკენ.

## ცოლიანმა მამაკაცმა კიდევ ორ ქალზე იქორწინა და თავი ციხეში ამოყო




დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ პერტში მამაკაცმა მას შემდეგ ამოყო ციხეში თავი, რაც ორ ქალზე დაქორწინდა ისე, რომ პირველ ცოლს არ გაშორებია. მას მრავალცოლიანობის ბრალდება აქვს წაყენებული.

48 წლის მამაკაცი ცოლს დაშორდა, თუმცა მასთან განქორწინება არ გაუფორმებია და 2020 წელს ისე დაქორწინდა მეორე ქალზე. სავარაუდოდ, მას თავისი ახალი მეუღლისთვის არ უცნობებია, რომ უკვე იყო დაოჯახებული. მოგვიანებით იმავე წელს მამაკაცმა კიდევ ერთ ქალზე იქორწინა მას შემდეგ, რაც მეორე ცოლს დაშორდა.

ავსტრალიის ფედერალურმა პოლიციამ მას შემდეგ დაიწყო საქმის გამოძიება, რაც მამაკაცის პირველი ცოლი სოციალურ ქსელებში დაუკავშირდა მის მეორე მეუღლეს და აცნობა, რომ მამაკაცი მრავალცოლიანი იყო. მამაკაცი დააპატიმრეს. მისი მეორე ქორწინება უკანონოდ ჩათვალეს, ვინაიდან ის ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა პირველ ცოლთან. ავსტრალიელს ასევე მეორე და მესამე ქორწინებასთან დაკავშირებით საბუთების გაყალბების ბრალდებაც აქვს წაყენებული. ავსტრალიაში მრავალცოლიანობისთვის მაქსიმალური სასჯელი ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# რუსეთს ფართომასშტაბიანი შეტევისათვის ძალები არ ჰყოფნის



ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში რუსეთის არმიის გენერალი სუროვიკინი აცხადებდა, რომ თებერვალში უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყება. ეს დაადასტურა თავის სატელევიზიო გამოსვლაში პატრიარქმა კირილმაც.

– მივმართავ ხარკოვის, ხერსონის, ნიკოლაევის, ოდესისა და, რა თქმა უნდა, დონბასის მოსახლეობას! ცოტაც მოითმინეთ! თებერვალში ბანდერელი ოკუპანტებისაგან გათავისუფლდებით! – თქვა კირილმა.

ამ მოსაზრებას ოდიოზური რუსი პროპაგანდისტი სოლოვიოვიც იმეორებდა. თავის ტოკშოუში ის აცხადებდა, რომ მალე, როგორც ხერსონი, ოდესა, ზაპოროჟიე და ნიკოლაევი, ისე მთელი დონბასიც გათავისუფლდება. სალი აზრი მოითხოვდა, რომ რუსეთს ფართომასშტაბიანი შეტევა დაეწყო. უკრაინის გენშტაბის ოფიცერმა, გენერალმა რომანენკომ ეს დაადასტურა.

– შეტევა სამი მხრიდან წარიმართება: 1) დონბასი; 2) ბელარუსიდან დასავლეთ უკრაინის მიმართულებით, რათა გადაკეტონ ყველა გზა, რომლითაც უკრაინაში იარაღი შემოდის; 3) ყირიმიდან ხერსონ-ზაპოროჟიე-ოდესის მიმართულებით, – ამბობს რომანენკო.

მართალია, ოკუპანტებს ადამიანური რესურსები უხვად აქვთ, მაგრამ სამხედრო ტექნიკის საკითხში მოიკოჭლებენ. რუსული ტექნიკა აშკარად მოძველებულია. დიქტატორი პუტინი აპირებდა ამა წლის 2 თებერვლისათვის ბახმუტის აღებას. პარალელურად მას უნდა განეხორციელებინა შეტევა როგორც უკრაინის სამხრეთით, ისე ბელარუსიდან დასავლეთ უკრაინის მიმართულებით, თუმცა მსგავსი გეგმების განსახორციელებლად აუცილებელია ძალა.

შექმნილმა სიტუაციამ აიძულა კრემლი, კორექტივები შეეტანა თავის ამბიციურ გეგმებში. უკრაინის სამხრეთით ან ბელარუსიდან დასავლეთ უკრაინის მიმართულებით შეტევაზე უარი ითქვა. ახლა მთელი ყურადღება დონბასისკენ არის მიმართული. პუტინმა ამ რეგიონში რუსეთის არმიის 80% გადაისროლა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა ვერც ბახმუტის აღება შეძლო, ვერც სტრატეგიული მნიშვნელობის ტრასების ბახმუტი-კონსტანტინოვკის, ბახმუტი-ჩასოვ იარის, ბახმუტი-სლავიანსკის გადაჭრა მოახერხა. მარცხით გაბოროტებულმა ოკუპანტებმა დაბომბეს კონსტანტინოვკა და კრამატორსკი. შედეგად დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის. მიუხედავად ამისა, მოსკოვმა მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა ვერ შეძლო. მდგომარეობა კი მწვავდება. ამაზე მეტყველებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ აშშ-ის ყველა მოქალაქეს, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან, იქაურობის დატოვებისაკენ მოუწოდებენ.

რუსეთ-უკრაინის ომი სულ უფრო მასშტაბურ და სისხლისმღვრელ ხასიათს იღებს. პუტინი უკვე აშკარად ლაპარაკობს, რომ ე.წ. ანტიიმპერიულ კოალიციას შექმნის და როგორც აშშ-ის, ისე ნატოს წინააღმდეგ ე.წ. ჯვაროსნულ ლაშქრობას დაიწყებს. როგორც ჩანს, ახლო მომავალში პუტინი შეეცდება, გააძლიეროს გავლენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეც.

# ნიკი ჰეილის აშშ-ის პრეზიდენტობა სურს



ცნობილ ამერიკელ პოლიტიკოსს ნიკი ჰეილის აშშ-ის პრეზიდენტობა სურს. ამის შესახებ იუწყება რადიოსადგური „ამერიკის ხმა“.

ჰეილი აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის წევრია. ის პირველი რესპუბლიკელია, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, რომ ექსპრეზიდენტ ტრამპის კონკურენტია.

# ტრამპი სიკვდილით დასჯის აღდგენის მომხრეა



აშშ-ის ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი სიკვდილით დასჯის აღდგენის მომხრეა. ეს მან თავის ტელეინტერვიუში განაცხადა.

– უნდა აღდგეს სიკვდილით დასჯის ისეთი ფორმები, როგორებიცაა გილიოტინა, დახვრეტა ან ჩამოხრჩობა, – თქვა ტრამპმა.

ექსპრეზიდენტმა განაცხადა, რომ, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ამას გააკეთებს. პარალელურად მოხდება სიკვდილით დასჯის პირდაპირი ტელერეპორტაჟების ჩვენებაც.

# ცხელი წერტილებია ბახმუტი, სოლედარი, ავდეევა, მარინკა, უგლედარი

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. კვლავ ყველაზე ცხელი წერტილებია ბახმუტი, სოლედარი, ავდეევა, მარინკა, უგლედარი.

მთელი უკრაინა სულგანაბული ადევნებს თვალს ბახმუტთან განვითარებულ მოვლენებს. თანახმად „აპოსტროფ ტივის“ ინფორმაციისა, უკრაინელებმა შეძლეს რუსი ოკუპანტების განდევნა ბახმუტ-კონსტანტინოვკის, ბახმუტ-სლავიანსკისა და ბახმუტ-ჩასოვ იარის ტრასებიდან. შედეგად ოკუპანტების წინსვლა ბახმუტში შეჩერდა. ამ ეტაპზე ჩაიშალა ბახმუტთან „კოტიოლის“ მოწყობის რუსების გეგმა. ფრონტის ხაზი არ შეცვლილა არც სოლედართან, არც ავდეევკასთან, მარინკასთან თუ უგლედართან. სამაგიეროდ, რუსეთის არმიაში დანაკარგები გაიზარდა. ამან გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო. რუსულ მედიაში პათოსური გამოთქმები შემცირდა. ოდიოზური პროპაგანდისტი სოლოვიოვი პირდაპირ აცხადებს: დემოკრატიამ რუსეთში არ გაამართლა. დადგა დრო, რათა სტალინური წესები აღდგეს!

თუ დონბასში რუსების აქტიურობა შემცირდა, ზაპოროჟიეს ოლქში, პირიქით, გაიზარდა. ოკუპანტები სულ უფრო მეტი დაბეჯითებით ცდილობენ შეტევაზე გადასვლასა და ახალი უკრაინული ტერიტორიების დაპყრობას.

# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ოკუპანტების შეტევა შეჩერებულია. ისინი უდიდეს ზარალს განიცდიან. დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 3.286; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 6.500; არტილერია – 2299; თვითმფრინავები – 298; ვერტმფრენები – 286; უპილოტო საფრენი აპარატები – 2.011;

განადგურებულია 140.000 ოკუპანტი.

დანაკარგებმა კრემლი შეაძრწუნა. ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინის წინააღმდეგ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას არ გამორიცხავს. ამან უკრაინელები არ შეაშინა. თანახმად სოციალური კვლევებისა, რუსეთის მიერ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაშიც, უკრაინელთა 80% ფარ-ხმალს არ დაყრის.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


# ლევან მაისაშვილი: „დისციპლინაში უნდა მოვუმატოთ“



2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასაწყისი საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა შეაფასა.

შეგახსენებთ, რომ ბორჯღალოსნებმა პირველ ტურში შინ გერმანიას (75:12) მოუგეს, ხოლო სტუმრად – ნიდერლანდებს (40:8).

**ლევან მაისაშვილი:**

– ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ნიდერლანდებში ჩასვლა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. თურქეთში მომხდარი ტრაგედიისა და უამინდობის გამო ბევრი რეისი გადაიდო. ამის შესახებ გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე გავიგეთ. მოგვიწია ორ ეტაპად მგზავრობა. პირველ ჯგუფს აეროპორტში დიდი ხნით მოუწია ლოდინი, მეორე ჯგუფი კი, იმ დროს ჩამოვიდა, როდესაც კაპიტნის ვარჯიში უნდა გვქონოდა. ამიტომ, ნიდერლანდებში საერთოდ ვერ ვივარჯიშეთ და გართულებულმა მგზავრობამაც დაგვატყო ხელი.

მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ტექნიკური და თამაშის მართვის კუთხით მაინც უკეთ უნდა გვეთამაშა. ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, რამაც მეტოქეს წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა მისცა. პრობლემები გვქონდა დისციპლინის კუთხითაც, მაგრამ სამიდან ორ ყვითელ ბარათში მსაჯს ვერ დავეთანხმები. და მაინც, გუნდი გაფრთხილებული იყო, რომ მსაჯი არაფერს გვაპატიებდა და ამდენი ჯარიმა მოსაწონი ვერ იქნება. იმედი მაქვს ეს გამოცდილება მომდევნო თამაშში გამოგვადგება. გამოცდილების კუთხით, ასეთი თამაშები უკეთესია, ვიდრე 80 ქულის სხვაობით მოგება, მაგრამ სხვაობა არც ამ შემთხვევაში იყო პატარა.

ამსტერდამში მოგების შემდეგ ბორჯღალოსნები პორტუგალიაში ჩავიდნენ, სადაც ესპანეთთან 18 თებერვალს გასამართი მატჩისთვის ემზადებიან. ფლეი ოფის საგზური ორივე გუნდს განაღდებული აქვს, მაგრამ ურთიერთშეხვედრამ უნდა გაარკვიოს ვინ დაიკავებს ჯგუფში პირველ ადგილს და ვინ ისარგებლებს ნახევარფინალში მასპინძლის სტატუსით.

– ესპანეთთან თამაშისთვის პორტუგალიაში ვემზადებით. გვქონდა ვიდეოანალიზი და დავაფიქსირეთ შეცდომები. შემადგენლობასთან დაკავშირებით მწვრთნელები ვიმსჯელებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ესპანეთს, ის ძლიერი გუნდია და, რომ არა დაუდევრობა, ახლა მსოფლიო თასის მონაწილე იქნებოდა. მათ ჰყავთ ბრძოლისუნარიანი ფორვარდები და სახიფათო ბექები. ვფიქრობ, საინტერესო თამაში გველოდება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## საზოგადოება

# თამაზ ორაშვილს ვარლამ ჩერქეზიშვილზე ფილმის გადაღება სურს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ვინც დარჩნენ, ისინი გაერთიანდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის პოლიტიკური საკითხის გარშემო. დაფუძნდა სოციალ-ფედერალისტური პარტია, საქართველოს დამოუკიდებლობის ევროპული გზის აქტიური პროპაგანდისტი და გამტარებელი ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად, ვარლამ ჩერქეზიშვილის ერთგული თანამოაზრეები. ჟენევის კონფერენციამ მოამზადა გზა ჰააგისკენ, სადაც მთელი კაცობრიობის გასაგონად უნდა გაჟღერებულიყო საქართველოს სიმართლე.

1921 წელი, თებერვალი. ბოლშევიკური რუსეთის შტურმი. კოჯრის გზაზე მიმავალ 80 წელს მიტანებულ ვარლამ ჩერქეზიშვილს მხარზე თოფი გადაუკიდია და იმის დასაცავად მიეშურება, რასაც მთელი თავის ცხოვრება ესათუთებოდა... ჩვენი მომავალი ფილმის დასასრულსაც ამ კადრით ვხედავთ; სინამდვილეშიც ხომ ასე მოხდა.

აი, ასეთი იყო „დამოუკიდებლობის მოპოვების ევროპული გზა“, ქართველი ეროვნული პატრიოტი პოლიტიკოსების მარტვილობა ამ გზაზე.

ასე არ მოხდა, სოციალ-დემოკრატები არ მიემხრნენ საქართველოს ავტონომიზაციის იდეას და კონფერენცია დემონსტრატიულად დატოვეს.

1907 წელი. ჰააგის II სამშვიდობო კონფერენცია იყო პირველი ევროპული და საერთაშორისო ფორუმი, რომელზეც, მართალია, არ განხილულა, მაგრამ გახმაურდა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი. „ეს სილის გაწვნა იყო რუსეთისთვის“; „პირველად იყო, რომ ქვეყნიერებამ საქართველოზე დაილაპარაკა“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი



# ქორწილში ყველის გამო იჩხუბეს

ჩრდილოეთ ინდოეთში მდებარე ქალაქ ბაგპატის შემოგარენში გამართულ ქორწილში მასობრივი ჩხუბი მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, როდესაც სიძის ბიძას არ მიართვეს კერძი ტრადიციული ყველი პარინით.

ინციდენტი მაშინ დაიწყო, როდესაც საქორწინო პროცესია სოფელ გურანადან ბაგაპტში მიმავალ გზაზე შეჩერდა. სადილობის დროს გათავდა ყველი პარინი და სიძის ბიძას, მისი ოჯახის წევრებსა და კერძის დამრიგებლებს შორის კამათი დაიწყო. პატარძლის მხარის წარმომადგენლების განმარტების შემდეგაც კი კონფლიქტი არ შეწყვეტილა და ის უკვე სიძის და პატარძლის მხარეებს შორის ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა, რომლის დროსაც მხარეებმა ქამრები და ჯოხებიც გამოიყენეს. საკმარისად მოხვდათ ოფიციანტებსაც.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა პოლიცია, რომელთაც მოჩხუბრების დასაშორებლად და გასაშველებლად ბამბუკის ჯოხების გამოყენება მოუხდათ.

# დედას ქალიშვილი 20 წელი სახლში ჰყავდა ჩაკეტილი

ბრაზილიაში ხანდაზმული ქალი ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავეს, ვინაიდან მას საკუთარი ქალიშვილი 20 წლის განმავლობაში სახლში ჰყავდა გამოკეტილი.

აღნიშნული ინციდენტი ბაიშადა-მარანიენსეს რეგიონის ქალაქ ვიანაში მოხდა. ადგილობრივი პოლიციის უფროსის კარლოს ალბერტო ბრაგი დინიზა ნეტოს თქმით, ქალის მსხვერპლი იმპროვიზირებულ კარცერში ხელფეხშეკრული აღმოაჩინეს. ის შიმშილისა და წყურვილისგან იტანჯებოდა. დედამისს, რომელიც ასევე ბინაში იმყოფებოდა, ალკოჰოლური თრობის აშკარა ნიშნები აღენიშნებოდა.

ექიმებმა და სოცმუშაკებმა დაზარალებული სამკურნალოდ გადაიყვანეს. პოლიციაში ვარაუდობენ, რომ დედამ ქალიშვილი მის მიერ გადატანილი ფსიქოლოგიური აშლილობის მომიზეზებით გამოკეტა, რაც ახალგაზრდობაში ორი ბავშვის დაკარგვით იყო გამოწვეული. ამის შედეგად ის თითქოსდა აგრესიული გახდა. დედა და მისი თანამზრახველი დაკავებულები არიან. პოლიცია გამოძიებას და დანაშაულის სხვა მონაწილეთა ძებნას აგრძელებს, ვინაიდან, როგორც გაირკვა, ამ სიტუაციის შესახებ ბევრი ადგილობრივისთვის იყო ცნობილი.

# წყვილმა სიყვარულის დღე წყალქვეშ ყველაზე ხანგრძლივი კოცნით აღნიშნა



ფრიდრაივერების წყვილი მას შემდეგ შევიდა გინესის რეკორდების წიგნში, რაც შეყვარებულთა დღე მალდივებზე წყალქვეშ ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი კოცნით აღნიშნეს.

40 წლის ბეტ ნილმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან და მისმა კანადელმა საქმრომ, 33 წლის მაილს კლუტიემ, ერთმანეთი ხუთი წლის წინ ოკეანის დაცვით ერთნაირი გატაცების წყალობით გაიცნეს. ნილი ამ საქმეში პედაგოგიკითა და შეთავსებით ფრიდრაივინგით არის დაკავებული, ხოლო კლუტიე ოკეანის გადარჩენის პროგრამაში მოხალისედ მონაწილეობდა.

წყვილი მალდივებზე შვილთან ერთად ჩაფრინდა. სამი დღე ისინი ღია ზღვაში ვარჯიშობდნენ, რათა წყალქვეშ კოცნის რეკორდი მოეხსნათ. შედეგად მათი კოცნა ოთხ წუთსა და ექვს წამს გაგრძელდა. წინა რეკორდი სამ წუთსა და 24 წამს შეადგენდა და ის 13 წლის წინ იყო დამყარებული.

ნილის თქმით, მათ ამ რეკორდის მოხსნა იმისთვის სურდათ, რომ სხვა ადამიანებსაც გაუღვივონ წყალქვეშა სამყაროს სიყვარული. წყვილმა უკვე მიიღო გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალური სერტიფიკატი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მილანისა და ბაიერნის ნახევარი ნაბიჯები

**მილანი-ტოტენჰემი 1:0**

**მილანი. სან სირო**

1:0 დიასი (7)

**მილანი:** ტატარუშანუ, კალულუ, კიაერი, ტიაო, სელმაკერსი (მესიასი 77), კრუნიჩი, ტონალი (პობეგა 86), ტ.ერნანდესი, დიასი (დე კეტელარე 77), ლეაო (რებიჩი 90), ჟირუ

**ტოტენჰემი:** ფორსტერი, რომერო, დაიერი, ლენგლე (დევისი 81), ემერსონი, სკიპი, სარი, პერიშიჩი, კულუშევსკი (რიშარლისონი 70), სონი (დანჯუმა 81), კეინი

მილანი ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში 9 წელი არ ყოფილა. არც მიმდინარე ფლეი ოფი დაემთხვა მილანური კლუბის ზეობას. გუნდს სერია ა-შიც კი პრობლემები ჰქონდა. თუმცა, ბოლო ტურში გამოასწორა და ტოტენჰემიც ზედ დააყოლა.

ორივე გუნდი შეზღუდული და დაძაბული გამოიყურებოდა და არ რისკავდა. გოლი კი დასაწყისშივე გავიდა, რომლის ავტორიც ბრაჰიმ დიასია. ტაიმის ბოლომდე ფეხბურთს კიდე არა უშავდა, ხოლო შესვენების შემდეგ უფრო ცუდი გახდა.

მილანი ცდილობდა მინიმალური უპირატესობა შეენარჩუნებინა, ხოლო ტოტენჰემს შეტევაში არაფერი გამოსდიოდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მილანელები გამოუვალ მდგომარეობაში მოხვედრილიყვნენ.

მილანმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში მოიგო, თუმცა, მხოლოდ პირველი თამაში – წინ განმეორებითი შეხვედრაა, რომელსაც 8 მარტს ლონდონი უმასპინძლებს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტეო ერნანდესი**

მართალია, მილანის ფლანგელი მცველი არცთუ ოპტიმალურ ფორმაშია, მაგრამ ტოტენჰემთან სათამაშოდ ეყო. დიასის გოლი მის ძლიერ დარტყმას მოჰყვა, რომელიც თავდაპირველად მეკარემ მოიგერია. ტეო პირველ ტაიმში შეტევებშიც აქტიურობდა, ხოლო შესვენების შემდეგ ჩრდილში მოექცა, თუმცა დაცვაში მაგრად იდგა და ტოტენჰემის ფეხბურთელებს შანსი არ დაუტოვა.

**სტეფანო პიოლი:**

– რთული მატჩი იყო, მძიმე გუნდის წინააღმდეგ ვიბრძოდით. მარტში ეს დაპირისპირება კიდევ უფრო რთული იქნება. ყურადღებით ვითამაშეთ, რაც მოვამზადეთ, გამოგვივიდა, გუნდურად კარგად ვიმუშავეთ. ძალიან კომპაქტურები ვიყავით. ერთადერთი სინანული ისაა, რომ მეორე გოლი ვერ გავიტანეთ. ტოტენჰემი ძლიერია, ეს მხოლოდ პირველი ეტაპი იყო, საპასუხო მატჩი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ეს გამარჯვება მორალურად ფუნდამენტურია, დარწმუნებული ვარ, დავუბრუნდებით იმ ფეხბურთის თამაშს, რომელიც მოგვწონს.

**ანტონიო კონტე:**

– ინტენსიური და თანაბარი თამაში იყო. ჩვენი ნაკლი ის გახლდათ, რომ მატჩის დაწყებიდან 5 წუთში ისეთი გოლი გავუშვით, რომლის თავიდან აცილება მარტივად შეიძლებოდა. მილანი თავს კარგად იცავდა. სივრცეები მოძებნა გაგვიჭირდა და ვერ გავათანაბრეთ. ამ თამაშის ბედი ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტა, მაგრამ ჯერ მხოლოდ შუა გზაზე ვართ. მილანი პატივისცემას იმსახურებს, რომელიც შარშან იტალიის ჩემპიონი დამსახურებულად გახდა. საპასუხო მატჩში ვეცდებით ეს შედეგი აღმოვფხვრათ და მომდევნო ეტაპზე გავიდეთ. მილანის ფანების შეურაცხყოფა? ეს ყველაფერი მატჩების ნაწილია. არ ვამბობ, რომ შეურაცხყოფა უნდა მივიღოთ, მაგრამ არა უშავს. იუვენტუსის ფეხბურთელი და მწვრთნელი, შემდეგ ინტერის მწვრთნელი ვიყავი, მილანში კი არასდროს ვყოფილვარ, ამიტომ ეს ყველაფერი გასაგებია.



**პარი სენ ჟერმენი-ბაიერნი 0:1**

**პარიზი. პარკ დე პრენსი**

0:1 კომანი (53)

**პსჟ:** დონარუმა, ჰაკიმი (კიმპემბე 46), რამოსი, მარკინიოსი, მენდეში, ზაირი-ემერი (რუისი 57), დანილო (ვიტინია 75), ვერატი, სოლერი (მბაპე 57), მესი, ნეიმარი

**ბაიერნი:** ზომერი, პავარი, დე ლიხტი, უპამეკანო, ზანე (სტანიშიჩი 90), კიმიხი, გორეცკა, კანსელუ (დევისი 46), მუსიალა (გრავენბერხი 87), კომანი (გნაბრი 76), ჩუპო-მოტინგი (მიულერი 76)

**გაძევება:** პავარი (90)

ამ დაპირისპირებას ყველა მოუთმენლად ელოდა, რადგან ორივე მათგანი ლიგის მოგებაზე პრეტენზიას აცხადებს.

ფავორიტებად მაინც გერმანელები ითვლებოდნენ და ეს სტატუსი პირველივე მატჩში გაიმყარეს. ბავარიელებმა მატჩის დასაწყისიდანვე აჩვენეს, რომ პარიზში მოსაგებად იყვნენ ჩასულნი. თუმცა, პირველ ტაიმში არსებული უპირატესობა გოლად ვერ გარდასახეს. ვარსკვლავებით დახუნძლული პსჟ კი, გასაკვირად, ძალიან ღრმად იდგა დაცვაში და იშვიათად კონტრშეტევებზე თამაშობდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბაიერნმა გაიტანა, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ გასატანი იყო – ჯანლუიჯი დონარუმას ბურთის აღება მართებდა.

გაშვებული გოლის შემდეგ პარიზული კლუბი გამოფხიზლდა და სათამაშო სტილი მალევე შეცვალა. გალტიემ მოედანზე დაშავებული მბაპე შეუშვა და ფრანგული კლუბის შეტევები უფრო ორგანიზებული გახდა. მბაპემ ორი გოლიც გაიტანა, მაგრამ არცერთი არ ჩაუთვალეს. მატჩის ბოლოს პსჟ-მ დაწოლა გააძლიერა, ბავარიელებს ფეხბურთელიც გაუძევეს, მაგრამ პარიზელები წაგებას მაინც ვერ გადაურჩნენ.

წინ საპასუხო მატჩია. ვნახოთ, რას შეცვლის გალტიე ბავარიაში.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კინგსლი კომანი**

გერმანელების ფრანგმა ძალიან დიდი სამუშაო შეასრულა. თავად ხომ მუდმივად ემუქრებოდა დონარუმას კარს და რამდენჯერმე ცადა თანაგუნდელებს გაეტანათ, თუმცა ბაიერნი მხოლოდ მის მიერ გატანილ ერთადერთ გოლს გამორჩა...

**იულიან ნაგელსმანი:**

– საწყის 25 წუთში მართლაც ძალიან კარგად ვითამაშეთ. კი არ ველოდით, რომ ბურთი ასე ხშირად გვექნებოდა და ვერ წარმოგვედგინა, რომ პსჟ ასე პასიური იქნებოდა. მოკლედ, ძალიან კარგი პირველი ტაიმი გვქონდა. მეორე ტაიმი დიდებულად დავიწყეთ, შემდეგ ცოტა ბალანსი დავკარგეთ, ორჯერ მეტოქემ მაგრად შემოგვიტია, ორი გოლიც გაგვიტანეს, მაგრამ, საბედნიეროდ – თამაშგარედან.

# საქართველო მსოფლიოზე გასასვლელად დაირაზმა



საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ილიას ზუროსმა, კარს მომდგარი საკვალიფიკაციო მატჩებისთვის 14– კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ 23 და 26 თებერვალს ჩვენს გუნდს უმნიშვნელოვანესი მატჩები ელის, რომელთა მოგების შემთხვევაშიც ისტორიულ შედეგს მიაღწევს და მსოფლიოს ჩემპიონატზე გავა.

საქართველო 23 თებერვალს, ქალაქ ალმერეში ნიდერლანდებს შეხვდება, რის შემდეგაც სამშობლოში დაბრუნდება და 26 თებერვალს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის დასკვნით მატჩში უშუალო კონკურენტ ისლანდიას დაუპირისპირდება.

ორივე მატჩის მოგების შემთხვევაში, ილიას ზუროსის გაწვრთნილი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. თუმცა, არსებობს შანსი (თუ უკრაინა 23 თებერვალს იტალიაში წააგებს), რომ მიზნის მისაღწევად მხოლოდ ისლანდიასთან გამარჯვებამაც იკმაროს. მაგრამ ეს მხოლოდ ვარიანტია და საქართველოს ნაკრების ერთადერთი გეგმა, ორივე თამაშის მოგება და მსოფლიო ჩემპიონატზე სხვის დაუხმარებლად გასვლაა.

დასკვნით მატჩებს საქართველოს ნაკრები არსებულ რეალობაში ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს. ზუროსის განკარგულებაში იქნებიან ესპანეთის ლიგა ენდესაში მოთამაშე გიორგი შერმადინი, თად მაკფადენი, რატი ანდრონიკაშვილი, კვიპროსში მოთამაშე დუდა სანაძე, მაკედონიიდან გიორგი კორსანტია, ხოლო იტალიის სერია ა-დან ბექა ბურჯანაძე და ნაკრების კაპიტანი თორნიკე შენგელია.

შენგელიას ამბავი ცალკე სათქმელია. ევროლიგაში თამაშის მიუხედავად, თორნიკე ყოველთვის მოდიოდა ნაკრებში სათამაშოდ და ახლა, როცა თამაშების გრაფიკი მაქსიმალურად შემჭიდროებულია, მაინც გუნდში იქნება. შენგელია 4 დღის განმავლობაში 3 მატჩს ჩაატარებს. საქართველოს ეროვნული ნაკრების ნიდერლანდებთან და ისლანდიასთან მატჩებს შორის, 24 თებერვალს ევროლიგაში, ვირტუსის მაისურით ბასკონიის წინააღმდეგაც ითამაშებს. ანუ 23-დან 26 თებერვლის ჩათვლით, შენგელიას მოედანზე გასვლა მხოლოდ 25 რიცხვში არ მოუწევს. ეს უპრეცედენტოდ დატვირთული გრაფიკია. ცხადია, ეს საქართველოს ნაკრების ისტორიულ მიჯნაზე ყოფნითა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოგების სურვილით არის განპირობებული.

შენგელიასა და ჩვენს ნაკრებს ფრიად დატვირთული გრაფიკი რომ ნაწილობრივ შეუმსუბუქდეს, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ძალისხმევითა და სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების დახმარებით ეროვნული გუნდის კაპიტნისთვის პირადად 2 ჩარტერული რეისი, ხოლო ერთი პრივატული რეისი მთლიანი გუნდისთვის განხორციელდება. ნიდერლანდებთან მატჩის შემდეგ, თორნიკე ჩარტერით დაბრუნდება ბოლონიაში, ხოლო 24 თებერვალს, ევროლიგაში ბასკონიასთან მატჩის შემდეგ ასევე ჩარტერული რეისით გამოფრინდება თბილისში, ისლანდიასთან სათამაშოდ. მესამე არარეგულარული რეისით საქართველოს ნაკრები ამსტერდამიდან თბილისში დაბრუნდება, რათა 26 თებერვალს, ისლანდიასთან პრინციპული მატჩისთვის მოსამზადებლად მეტი დრო და ენერგია ჰქონდეს.

ლეგიონერებთან ერთად გაფართოებულ შემადგენლობაში არიან სუპერლიგის კალათბურთელები: გიორგი ცინცაძე, ბექა ბექაური, მიხეილ ბერიშვილი (სამივე თსუ), კახა ჯინჭარაძე (ქუთაისი), მერაბ ბოქოლიშვილი (კაკტუსი), ილია ლონდარიძე (კავკასია) და გივი ბაქრაძე (ოლიმპი),

გოგა ბითაძე ნბა-ში კლუბის გამოცვლის გამო რამდენიმე დღე თავისუფალი აგენტი იყო და გაჩნდა შანსი, რომ საქართველოს ნაკრებს დახმარებოდა. ამიტომ, ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ ფიბა-ში გაგზავნილ გაფართოებულ შემადგენლობაში შეიყვანა. თუმცა, გოგამ ორლანდოსთან კონტრაქტი გააფორმა და მისი ნაკრებში ჩამოსვლა გამოირიცხა.

არსებული 14 კალათბურთელიდან ილიას ზუროსი კონკრეტული მატჩებისთვის 12-ს შეარჩევს. საქართველოს ნაკრები ვარჯიშს 17 თებერვალს, თბილისი არენაზე დაიწყებს, ხოლო ნიდერლანდებში 20 თებერვალს, გამთენიისას გაემგზავრება. ნიდერლანდებთან მატჩი კი 23 თებერვალს გაიმართება.

აქვე შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი 2023 წლის 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით სამ ქვეყანაში – იაპონიაში, ფილიპინებსა და ინდონეზიაში გაიმართება. ჯგუფის თამაშების შემდეგ – ფინალურ ეტაპს ამომავალი მზის ქვეყანა უმასპინძლებს.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:**

გიორგი ცინცაძე, ბექა ბექაური, მიხეილ ბერიშვილი (სამივე თსუ), კახა ჯინჭარაძე (ქუთაისი), მერაბ ბოქოლიშვილი (კაკტუსი), ილია ლონდარიძე (კავკასია) და გივი ბაქრაძე (ოლიმპი), გიორგი შერმადინი (ტენერიფე, ესპანეთი), თად მაკფადენი, რატი ანდრონიკაშვილი (მურსია, ესპანეთი), დუდა სანაძე (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი კორსანტია (გოსტივარი, ჩრ. მაკედონია), ბექა ბურჯანაძე (რეჯიო ემილია, იტალია), თორნიკე შენგელია (ვირტუსი, იტალია).

# თორნიკე შენგელია: „ომს კარგი არაფერი მოაქვს“



საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანმა თორნიკე შენგელიამ იტალიურ მედიასთან ისაუბრა, სადაც საკუთარი კარიერის გარდა რუსეთთან მეზობლობაზე და ომზეც ისაუბრა.

**თორნიკე შენგელია:**

– ჯერჯერობით თასის მოგებაზე კი არა, ვენეციასთან მატჩზე ვფიქრობთ. თუ მოვიგებთ, შემდეგ ნახევარფინალზე ფიქროც შეიძლება. ვნახოთ, მომდევნო მატჩში ვინ შეგვხვდება. რა თქმა უნდა შანსები გვაქვს, მაგრამ პროცენტებს წინასწარ ვერ ვიწინასწარმეტყველებ.

კარგი გუნდი ვართ და ევროლიგაში ვაჩვენეთ, რომ ყველასთან თამაში შეგვიძლია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის კარგად ვერ ვთამაშობდით, რამდენჯერმე გამარჯვება ხელიდან გავუშვით. ცოტა სტაბილურობა დაგვაკლდა, მაგრამ წინ უნდა გავიხედოთ: ჩვენ ჩვენი მიზნები გვაქვს და მათ მიღწევას შევეცდებით. მხრის ტრავმა უკვე მოვიშუშე და თავს კარგად ვგრძნობ.

ბოლონიაში ნამდვილად იგრძნობა, რომ საკალათბურთო ქალაქია. თამაშის დროს სიმხურვალე იგრძნობა, ხოლო მისი დასრულების შემდეგ სრული სიწყნარეა. აქ ძალიან კარგი სამზარეულოც აქვთ. ლაზანია ჩემი ფავორიტია. თავისუფალ დროს კი ოჯახთან ერთად ვატარებ. შვილი მყავს და ვცდილობ მას რაც შეიძლება დიდი დრო დავუთმო, – ამბობს შენგელია.

თოკოს კითხვა რუსეთთან მეზობლობისა და ომის შესახებ დაუსვეს.

– ომი ძალიან დელიკატური საკითხია და რამდენიმე სიტყვით არ გადმოიცემა. ამ საკითხის შესახებ მარტივი სიტყვებით საუბარი არ შეიძლება. რომ ომი არასოდეს არის კარგი და არასოდეს კარგი არაფერი მოაქვს. ომზე საუბრისას ყოველთვის უნდა ვიფიქროთ მსხვერპლზე და პატივი ვცეთ მათ, – ასეთია შენგელიას აზრი, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის დაყებამდე რუსული არმიის გუნდში თამაშობდა. იტალიის თასზე ვირტუს ბოლონიისა და ვენეციის მატჩი დღეს გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 2. პოეტ ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმი; 3. თვალის დაავადება – სიელმე; 4. სევანის ტბის კალმახი; 5. სასწრაფო სამუშაო გემზე მთელი ეკიპაჟის მონაწილეობით; 9. ქალაქი ესტონეთში; 10. ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის გარეუბანში; 14. პოპულარული ჩეხური ლუდი; 15. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 16. ნიადაგის გამანოყიერებელი ნივთიერება; 19. შეძლებული გლეხის სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 21. ბოშათა წინამძღოლი.

**თარაზულად:** 6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე; 7. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. პოპულარული სამთო-სათხილამურო კურორტი აშშ-ში; 11. კარაქის შესადღვები მარტივი ხის მოგრძო ჭურჭელი; 12. ქიმიური ელემენტი, მძაფრი სუნის აირი; 13. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 17. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 22. ქალაქი იმერეთში; 23. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 24. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სორენტო; 2. დრამი; 3. ლუციფერი; 4. სტუპორი; 5. ვერნისაჟი; 9. მატანი; 12. ბეირუთი; 14. ქრთამი; 15. გუნო; 17. დრაჟე; 18. ვაგა.

**თარაზულად:** 6. პოპური; 7. კუპატაძე; 8. რეჟიმი; 10. იოკაი; 11. სოლისიტორი; 13. ოქტაგონი; 16. კენედი; 19. ანტურაჟი; 20. დინასტია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ანდერძი; 2. პლანეტა; 3. ჩიხთიკოპი; 4. ახმეტა; 5. პლაზმა; 9. ქაირო; 10. პლანიცა; 14. ტერფსიხორა; 15. სერვოლანი; 16. ბადაგი; 19. კონიაკი; 20. სუმიდა; 21. თაგორი.

**თარაზულად:** 6. ინდულგენცია; 7. ურთხელი; 8. სევანი; 11. ფანტომი; 12. შტილი; 13. ლომბერი; 17. რევოკაცია; 18. სკაფანდრა; 22. პულმანი; 23. გვარდია; 24. ეკვატორი; 25. მირზაანი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599–532–690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

16 თებერვალი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6532

ევრო — 2.8434

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2032

100 რუსული რუბლი — 3.5551

## ამინდის პროგნოზი 16 თებერვლისათვის




## იულიან ნაგელსმანი: „პსჟ-სთან მატჩით კმაყოფილი ვარ“



ბაიერნმა სტუმრად პსჟ დაამარცხა 1:0 და მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ბაიერნი მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და შედეგიც ლოგიკური იყო, თუმცა მატჩის ბოლოს პსჟ-ს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება. იულიან ნაგელსმანმა თქვა, რომ გუნდის თამაშით კმაყოფილია: „ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც საჭირო იყო, თუმცა მატჩის ბოლოს გაგვიმართლა. ჯერ არაფერი დასრულებულა და მიუნხენში რთული მატჩი გველის“.

## ჰარი კეინი: „ტოტენჰემს მილანის დამარცხება შეუძლია“



ტოტენჰემმა სტუმრად მილანთან წააგო 0:1 და განმეორებითი მატჩის წინ საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა, მათი ლიდერის ჰარი კეინის აზრით, ჯერ დაკარგული არაფერია: „სამწუხაროდ, დავმარცხდით, მაგრამ გულშემატკივარმა კარგად იცის, თუ რა შეგვიძლია საკუთარ მოედანზე, ამიტომ ლონდონში ყველაფერი სხვაგვარად იქნება. გამარჯვების მჯერა“.

## რონალდ არაუხო: „მანჩესტერთან თამაში კარგი გამოცდაა“



ბარსელონის ცენტრალურმა მცველმა რონალდ არაუხომ მანჩესტერ იუნაიტედთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდისთვის ეს კარგი გამოცდაა და ისინი შეეცდებიან, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინონ: „მანჩესტერი სერიოზული მეტოქეა და მათთან მატჩისთვის განსაკუთრებით ვემზადებით. ეს შეხვედრა ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

●●●

მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– რას ფიქრობ, ბოლოსდაბოლოს, ჩემ ცხოვრებაში მძიმე პერიოდი დასრულდება?

– რა თქმა უნდა, ცხოვრება ხომ ბოლოსდაბოლოს დასრულდება.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, გივი ცოლის მოყვანის შემდეგ ენაბლუ რატომ გახდა?

– მის სიდედრს სამი ტყუპისცალი ჰყოლია და როგორც კი ყველანი ერთად დაინახა, ენა დაება.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, მამიკო, გველები ლაპარაკობენ?

კაცმა სიდედრს გასძახა:

– რას გაჩუმებულხარ? ვერ ხედავ, შენ შვილიშვილს აინტერესებს.

●●●

ქალმა თუთიყუში იყიდა, სახლში მიიყვანა და ეკითხება:

– აბა, სულელო, ლაპარაკი იცი?

– მე კი შემიძლია, მაგრამ შე უტვინო, შენ ფრენა იცი?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– დღისით თავს მოშვებულად, დაღლილად ვგრძნობ, სულ მეძინება, აი, ღამით კი, სრულფასოვან ცხოვრებას ვიწყებ.

– და რას აკეთებ?

– მძინავს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## რეზო გაბრიაძის რჩეული პროზა გამოცემულია



რეჟისორის, მწერლისა და მხატვრის რეზო გაბრიაძის რჩეული პროზა გამოცემულია.

15 მარტიდან მკითხველს განსაკუთრებული საჩუქარი ელოდება – „ჩემი პატარა ქალაქი“ – რეზო გაბრიაძის რჩეული პროზა.

– რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ჩემი ცხოვრების ერთ პატარა კუნძულზე ვტრიალებ. ეს ქალაქი ქუთაისია. იქ სულ 17 წელი ვიცხოვრე, მერე კი წავედი სამყაროში სახეტიალოდ, მაგრამ, მაშინაც კი, როდესაც პარიზზე ვწერ, მაინც ქუთაისზე დაწერილი გამომდის.

ქუთაისი ადრიატიკაა. ის უფრო ხმელთაშუაზღვისპირული ქალაქია, უფრო ლირიკულია, რბილი. აქ უფრო იგრძნობა ბერძნული გავლენა. თბილისმა სხვა გზა გამოიარა. მასში სპარსეთიც იგრძნობა და ევროპაც. ქუთაისი უფრო მსუბუქი ქალაქია. ქუთაისელები მსუბუქად იღიმებიან, მსუბუქად ტირიან, მათი გრძნობები და ურთიერთობებიც უფრო მსუბუქია და იმ სამყაროშიც უფრო მსუბუქად მიდიან... – ეს არის ამონარიდი რეზო გაბრიაძის წიგნიდან.

წიგნი გაფორმებულია რეზო გაბრიაძის ნახატებით. კრებულში შესულია მოთხრობები: „შერეკილები“, „ქუთაისი ქალაქია“, „ექიმი და ავადმყოფი, ანუ აკრძალული შობა“, „ალილო“, „ერმონია და რამონა“, „თეთრი ხიდი“.

## „ასტანა ოპერის“ წამყვანი სოლისტები თბილისში იცეკვებენ



25 თებერვალს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი „ასტანა ოპერის“ წამყვან სოლისტებს, არაერთი საბალეტო კონკურსის ლაურეატებს შუგილა ადეპხანსა და არმანურ აზოვს უმასპინძლებს.

ისინი ბალეტ „დონ კიხოტში“ მთავარ პარტიებს იცეკვებენ. შუგილა ადეპხანი უკვე წლებია, ასტანა ბალეტის სოლისტი და არაერთი საბალეტო კონკურსის ლაურეატია. მის რეპერტუარშია მთავარი პარტიები ბალეტებიდან „მაკნატუნა“, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „კორსარი“, „ბაიადერა“, „კოპელია“, „სილფიდა“.

არმანურ აზოვი უკვე 10 წელია, ასტანა ოპერის წამყვანი სოლისტია. მის რეპერტუარშია წამყვანი პარტიები ბალეტებიდან: „რომეო და ჯულიეტა“, „დონ კიხოტი“, „მანონი“, „კორსარი“, „კოპელია“.

## ქეთევან ქემოკლიძე ფრანკო ძეფირელისადმი მიძღვნილ კონცერტზე იმღერა



ქართველმა ოპერის მომღერალმა ქეთევან ქემოკლიძემ ცნობილი იტალიელი რეჟისორის ფრანკო ძეფირელის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტზე იმღერა.

ლეგენდარული რეჟისორის ხსოვნასა და მის საუკუნოვან იუბილეს იტალიაში სპექტაკლი „აიდა“ მიეძღვნა. ოპერის მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად, მსმენელი ქართველმა საოპერო ვარსკვლავმა ქეთევან ქემოკლიძემაც აღაფრთოვანა და მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ვეფხვმა ჯერ ყმაწვილი მოკლა, შემდეგ კი – მის გასვენებაში მისული პაპა



ინდოეთში ვეფხვმა კარნატაკის შტატის მცხოვრები 18 წლის ყმაწვილი დაგლიჯა, შემდეგ კი სიცოცხლეს მის გასვენებაში მისული 75 წლის პაპაც გამოასალმა.

ნათესავები ერთი დღე-ღამის განმავლობაში კოდაგუს რაიონში დაიღუპნენ. ახალგაზრდა, სახელად ჩეტხანი, ვეფხვმა კვირას, 12 თებერვალს, შუა დღის საათებში დაგლიჯა. ის სხვა მუშასთან ერთად ყავის კრეფით იყო დაკავებული პლანტაციაში, რომელიც ნაგარახოლის ეროვნული პარკის მახლობლად მდებარეობს. მოულოდნელად მათ გვერდით გაჩნდა ვეფხვი. მათ მუშაობას თავი ანებეს და გაიქცნენ, მაგრამ ჩეტხანმა თავის გადარჩენა ვერ შეძლო, მტაცებელი დაეწია, კბილებით ყელში ჩააფრინდა და მოკლა.

ჩეტხანის პაპა სხვა ნათესავებთან ერთად შვილიშვილის დასაფლავებაზე იმავე საღამოს მივიდა. 13 თებერვალს, დილით, დაახლოებით რვის ნახევარზე, ხანდაზმული მამაკაცი სახლიდან გამოვიდა, რა დროსაც მას ვეფხვი თავს დაესხა და მოხუცი მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზევე დაიღუპა.

ამ ორმაგი მკვლელობის შემდეგ შემთხვევის ადგილზე ვეფხვებთან ბრძოლის საგანგებო დანიშნულების რაზმი და პოლიციის სუპერინტენდანტი მივიდნენ. ისინი ვეფხვის, რომელმაც, როგორც ჩანს, ბინა ყავის პლანტაციის სიახლოვეს დაიდო, დასაჭერად მზადებას შეუდგნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## თამაზ ორაშვილს ვარლამ ჩერქეზიშვილზე ფილმის გადაღება სურს



რეჟისორ თამაზ ორაშვილს ქართველ რევოლუციონერსა და პუბლიცისტ ვარლამ ჩერქეზიშვილზე ფილმის გადაღება სურს:

– ვარლამ ჩერქეზიშვილი ქართველი რევოლუციონერი, პუბლიცისტი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამ კაცზე რა გახდა დოკუმენტური ფილმის გადაღება? ნუთუ არ ღირს 200.000 ლარის გამოყოფა? ადამიანმა მთელი ცხოვრება შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ვარლამ ჩერქეზიშვილი თვლიდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა გეორგიევსკის ტრაქტატზე დაყრდნობით უნდა დაწყებულიყო. რუსეთმა დაარღვია ხელშეკრულება, რასაც მოჰყვა საქართველოს ანექსია. აქედან გამომდინარე, ისტორიული უფლების ფაქტორის გათვალისწინებით, საქართველომ უნდა აღიდგინოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, ევროპის ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვების გზით.

არა უშავს, ჩვენ მოვახერხებთ და გადავიღებთ ამ კაცის ისტორიას. მომავალ ფილმში მოგითხრობთ ამ მიმართულებით ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მისი თანამოაზრეების: არჩილ ჯორჯაძის, სოციალ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების, ანარქისტების მოღვაწეობაზე, მათ ბრძოლაზე. კონკრეტულად შევჩერდებით რამდენიმე ეპიზოდზე, რათა უფრო თვალსაჩინო გავხადოთ ამ პოლიტიკური ბრძოლის პერიპეტიები. ამ ადამიანების დამსახურება სწორედ ის არის, რომ პატარა საქართველოს საკითხი რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან საერთაშორისო ევროპულ ასპარეზზე გაიტანეს.

ფილმის ერთ-ერთი პირველი ეპიზოდი 1904 წლის 1 აპრილს გამართული ჟენევის კონფერენციაა, მისი მნიშვნელობა, მიზნები. ამ კონფერენციაზე თავი მოიყარა რევოლუციურად განწყობილმა ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა – 26-მა დელეგატმა. ამ საქმის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლდათ ვარლამ ჩერქეზიშვილი, ასევე – არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, მიხაკო წერეთელი და სხვები. რით იყო ღირსსახსოვარი და მნიშვნელოვანი ეს კონფერენცია? ვარლამ ჩერქეზიშვილსა და მის თანამოაზრეებს ეიმედებოდათ, რომ ჟენევის კონფერენცია საერთო ეროვნული იდეით შეკრავდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს, ესერებს, ანარქისტებს, პატრიოტებს.

შემდეგ მოდის რამდენიმე ეპიზოდი: გემი „სირიუსი“; ლონდონისა და ლივერპულის კონფერენციები; ქართველი ხალხის უფლებების დაცვის კავშირი; მემორანდუმი ულტიმატუმის ფორმით; მსოფლიო ომი; ანტანტასა და „სამთა კავშირს“ შორის მოკავშირის ძიება; საქართველოს დამოუკიდებლობა; ვერსალის კონფერენციით იმედგაცრუება; ბოლო იმედი – ინგლისი – ოლივერ უორდროპის ჩაშლილი მისია; წითელი რუსეთის თავდასხმა, ანექსია.


გაგრძელება მე-6 გვერდზე


## ასტროპროგნოზი



16 თებერვლისათვის

**ვერძი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ტყუპები** – ვიღაც დაუფარავად ცდილობს თქვენს გაცურებას. იფხიზლეთ, თაღლითების ანკესს ნუ წამოეგებით. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი დღეა. ცხოვრებაში კორექტივები შეგაქვთ. აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. **ლომი** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **ქალწული** – საქმიანი კონტაქტები წარმატებული იქნება. იყავით დამოუკიდებელი. **სასწორი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **ღრიანკალი** – წინდაუხედაობა არასასურველ შედეგამდე მიგიყვანთ. დაფიქრდით, სანამ რამეს გადაწყვეტთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **თხის რქა** – პირადი ცხოვრების მოწყობაში პლანეტები გეხმარებიან. ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მერწყული** – ეცადეთ, წვრილმანი კამათი თავიდან აირიდოთ. უმჯობესია, თუ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დღესვე დაიწყებთ. **თევზები** – რთული დღეა. ემოციურად დათრგუნული ხართ. განმარტოვდით და ენერგია მოიკრიბეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამხედრო-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. სრული მარცხი; 3. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება სკანდინავიურ ქვეყნებში; 4. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 14. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 15. ლათინური ანბანის ბოლო ასო; 17. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 18. ერთხმიანი სიმღერა ოპერაში.

**თარაზულად:** 6. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 7. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 8. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 10. ქალაქი ესტონეთში; 11. „შაჰნამეს“ ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 19. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 20. რაიონული ცენტრი საინგილოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

